ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 12 ნოემბერი 2004 №264 (2285) ფასი 50 თეთრი



მცირე მცხეთური კურიოზი:
ქირესის უკან, კედელზე
ნაწერიც კი ტაქტიკურ სქემას ჰგავს

## დღეს ქირესი ნაკრებს იტყვის, ტაქტიკაზე იფიქრებს

## შემთხვევა ზღვაზე

### დინამოს წყალი შეუდგა, ტორპედო ამოტივტივდა



„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“ 0:0. გუშინ „არმაზზე“ ფეხბურთზე მეტი ბრძოლა იყო

თბილისის „დინამომ“ ზღვისპირეთი უგოლოდ მოიარა და ორმა გუნდმა გადაასწრო. ზღვისპირეთში იყო ქუთაისის „ტორპედოც“, რომელიც შინ ლიდერად დაბრუნდა. შავი ზღვა თეთრად ვის მოეჩვენება, ეს ალბათ ჩემპიონატის ბოლო ტურში თუ გაირკვევა – მეთექვსმეტე ეროვნული ისეთია, პროგნოზების შანსს ძალიან ძნელად რომ იძლევა. მცხეთელებს კი, ახალგაზრდებსაც და ძველგაზრდებსაც, სტადიონზე წასვლით თავი არ შეუწუხებიათ და არც შემცდარან...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 15 | 9 | 5 | 1 | 22:8 | 32 |
| თბილისი | 15 | 9 | 3 | 3 | 33:17 | 30 |
| დინამო | 15 | 9 | 3 | 3 | 30:16 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 7 | 4 | 4 | 26:19 | 25 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 7 | 2 | 19:7 | 25 |
| ბათუმი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:13 | 22 |
| კოლხეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:23 | 12 |
| სიონი | 15 | 3 | 2 | 10 | 13:33 | 11 |
| ზესტაფონი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:32 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11:26 | 8 |

# დღეს ალენ ჟირესი ბიჭებს გადაითვლის


ალენ ჟირესი და გოჩა ტყებუჩავა დღეს სადანიო შემადგენლობებს გამოაცხადებენ

საქართველოს ნაკრების ოთხშაბათის მეტოქე დანია თბილისში ორშაბათს, ნაშუადღევს ჩამოვა. სტუმრები ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან. დელეგაცია დაახლოებით 100-კაციანი იქნება, მათ შორის 20-მდე ჟურნალისტი.

დანიელები თბილისში ორ ნაწილად გაიყოფიან — ეროვნული გუნდი სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" დაბინავდება, ახალგაზრდული — „ქორთიარდ-მარიოტში".

სტუმრებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „ლოკომოტივის" სტადიონზე ვარჯიში ჩამოსვლიდან რამდენიმე საათში შეუკვეთეს. მატჩის წინა დღეს კი მორტენ ოლსენი შეგირდებს უცხო თვალს განარიდებს და გუნდს დახურულ კარს მიღმა ავარჯიშებს.

ჯერჯერობით დანიელებს არ უცნობებიათ, მათი მწვრთნელი მორტენ ოლსენი პრესკონფერენციას როდის გამართავს ან ფეხბურთელებთან გასაუბრების საშუალება ჟურნალისტებს რა დროს ექნებათ.

აი, ჩვენების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა კი პრესკონფერენცია და დანიასთან სამატჩო შემადგენლობის გამოცხადება სადღეისოდ დაგეგმა. დღესვე რჩეულებს დაასახელებს ახალგაზრდულის თავკაცი გოჩა ტყებუჩავაც.

საქართველოს ეროვნული გუნდი დანიასთან თამაშისთვის მზადებას 15 ნოემბრიდან სრული შემადგენლობით დაიწყებს და მატჩამდე ყოველდღე ოთხ საათზე „ოლიმპის" სტადიონზე ივარჯიშებს. შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების წევრები კი სასტუმრო „ბატესტაში" კვირას შეიკრიბებიან. კვირასვე შეიკრიბება ახალგაზრდული გუნდიც, რომელიც ნაკრების დიღმის ბაზაზე იცხოვრებს.

გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციამ 17 ნოემბრის მატჩისთვის ბილეთების ფასები საბოლოოდ დაადგინა და დღეიდან გაყიდვასაც შეუდგება. ბილეთები 30, 15, 10 და 7 ლარი ეღირება და „ლოკომოტივისა" და „ეროვნული" სტადიონების სალაროებში გაიყიდება.

როგორც ფედერაციაში გვითხრეს, 30 და 15-ლარიანი ბილეთების ფასი ქომაგს ნუ დააფრთხობს, ეს ბილეთები „ლოკომოტივის" სტადიონის დასავლეთ ტრიბუნისაა და რამდენიმე ათასი უკვე გაყიდულიც ყოფილა.

საქართველო — დანია, შეგახსენებთ, „ლოკომოტივის" სტადიონზე ოთხშაბათს, ცხრა საათზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**

# რატომ დარჩა კორღალიძე უპრიზოდ?

## სკონტო უნიკალური ჩემპიონია

ვინმე სხვას ელოდა? რიგის „სკონტო" გუშინ ზედიზედ მეთოთხმეტედ გახდა ლატვიის ჩემპიონი. ამ უნიკალურ შედეგს „სკონტომ" ჩემპიონატის ბოლო ტურში დაუგავპილსის „დიტონის" 6:0 გაცამტვერებით მიაღწია.

ლევან კორღალიძის, ზურაბ მენთეშაშვილის და გიორგი ყიფიანის გუნდი დამოუკიდებელი ლატვიის ისტორიაში უძლეველია და დანარჩენები დღემდე ამაოდ უპირებენ ტახტიდან ჩამოგდებას.

„დიტონთან" მატჩის მერე რიგაში კორღალიძეს შევეხმიანეთ და, ბუნებრივია, ჯერ ჩემპიონობა მივულოცეთ...

— დიდი მადლობა. რომ გითხრა, სიხარულისგან ლამისაა გავგიჟდემეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ჩემპიონობა მაინც ძალიან სასიამოვნოა.

— მერამდენედ გახდი ლატვიის ჩემპიონი, გახსოვს მაინც?

— მე მეექვსედ, „სკონტო" კი მეთოთხმეტედ.

— გაგიჭირდებოდათ...

— აბა, აბა... ისე, აქ ფეხბურთი უფრო პოპულარული რომ იყოს, რაიმე პრიზს მაინც მომცემდნენ — ზედიზედ მეექვსედ გავხდი ჩემპიონი.

— შენზე მეტჯერ გამხდარა ვინმე?

— ქართველებიდან ზურა მენთეშაშვილიც მეექვსედ გახდა.

— „დიტონთან" ბოლო სამი გოლი შენს აქტიურობას მოჰყოლია...

— დღეს მართლა კმაყოფილი დავრჩი ჩემი თამაშით. ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებ, მაგრამ სეზონი კი დამთავრდა და...

— ჩემპიონობას როგორ აღნიშნავთ?

— ხვალ ბანკეტი გვაქვს. ეგ არის და ეგ.

— და მერე თბილისში მოდიხარ?

— კი, 16-ში მანდ უნდა ვიყო. ცოტას დავისვენებ და მერე ჩემს მომავალზე მომიწევს ზრუნვა, „სკონტოსთან" ხომ კონტრაქტი მიმთავრდება.

**ქახა შალამბერიძე**



# მიპატიჟება ნათლობაზე

ეროვნული A-ლიგა, პრემიერლიგა, სუპერლიგა, უმაღლესი ლიგა — ამ ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთი საქართველოს ჩემპიონატის ახალი სახელწოდება იქნება.

სახელის შეცვლის იდეაზე ადრეც გაუწყეთ — პროფლიგამ ძველი სტერეოტიპების მოშლა გადაწყვიტა და თითქოს მაშინვე გაირკვა, რომ ახლანდელ უმაღლეს ლიგას A ლიგა დაერქმეოდა. თუმც პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ამ საქმეში გულშემატკივრების ჩართვაც მოისურვა და, თუ თქვენ ზემოთ დასახელებული ოთხი ვარიანტიდან რომელიმეს მხარს უჭერთ, შეგიძლიათ, პოზიცია ელექტრონული ფოსტით დააფიქსიროთ მისამართზე: info@pfl.ge.

**ქახა შალამბერიძე**

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები

**17 ნოემბერი**

## საბერძნეთი — ყაზახეთი

### საბერძნეთი

მეკარეები: ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (პანათინაიკოსი);
მცველები: ტრაიანოს დელასი (რომა, იტალია), სოტირის კირიაკოსი (პანათინაიკოსი), იურკას სეიტარიდისი (პორტუ, პორტუგალია), ტაკის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), სტელიოს ვენეტიდისი (ოლიმპიაკოსი), მიხალის კაპსისი (ბორდო, საფრანგეთი);
ნახევარმცველები: კოსტას კაცურანისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), თეოდოროს ზაგორაკისი (ბოლონია, იტალია), ვასილის ცარტასი (უგუნდოდ), გიორგიოს გეორგიადისი (ოლიმპიაკოსი), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), გიორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია);
თავდამსხმელები: ანგელოს ხარისტიასი (ვერდერი, გერმანია), ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), დიმიტრიოს პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი)

Coca-Cola

## FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 847 | 15 | 22 | შვედეთი | 710 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 802 | 16 | 13 | გერმანია | 706 |
| 3 | 3 | არგენტინა | 784 | 17 | 16 | *საბერძნეთი* | 703 |
| 4 | 4 | ესპანეთი | 775 | 17 | 19 | იაპონია | 703 |
| 5 | 6 | ჩეხეთი | 768 | 19 | 17 | ურუგვაი | 699 |
| 6 | 5 | ჰოლანდია | 758 | 20 | 20 | ირანი | 634 |
| 7 | 7 | ინგლისი | 752 | | | | |
| 8 | 10 | მექსიკა | 743 | 67 | 80 | *უკრაინა* | 551 |
| 8 | 8 | პორტუგალია | 743 | | | | |
| 10 | 8 | იტალია | 736 | 87 | 89 | *ალბანეთი* | 517 |
| 11 | 11 | აშშ | 728 | | | | |
| 12 | 12 | *თურქეთი* | 721 | 107 | 105 | საქართველო | 442 |
| 13 | 15 | *დანია* | 715 | | | | |
| 14 | 14 | ირლანდია | 713 | 147 | 145 | *ყაზახეთი* | 309 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# დანია ასიანი ასეულია

ფიფა-კოკა კოლას ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრები ორი საფეხურით დაქვეითდა — 105-დან 107-მდე. თუმც ჩვენებს ერთი მოგებით შეუძლიათ კენგურუსავით ისკუპონ: 17 ნოემბერს დანიის ძლევის შემთხვევაში საქართველოს ნაკრები პირველ ასეულში დაიდებს ბინას. ისე, მეტოქეთაგან ქართველები ოდენ ყაზახეთს უსწრებენ. ევროპის შვილობილი აზიელები 147-ე ადგილზე არიან.

უკრაინამ ჩვენთან მოგებით 13 საფეხურით აიწია და ახლა 67-ზეა, ალბანეთი 89-ეზე, თურქეთ-დანია-საბერძნეთი კი ოცეულში ნებივრობენ.

პირველი სამეული კი კვლავ უცვლელია — ბრაზილია, საფრანგეთი, არგენტინა.

**ქახა შალამბერიძე**

## იტალია

სერია A. XI ტური

მესინა 0:0 პალერმო

## ესპანეთი

სამეფო თასის 1/16 ფინალი

ხიმნასტიკი 0:1 დ.დ.(0:0) ატლეტიკო

## როიალ ლიგა

პირველი ტური

ბრონდბიუ 3:2 ტრომსიო
ბრანი 1:0 ჰალმსტადი
მალმიო 2:0 ოდენსე
ესბიერგი 0:1 ვოლერენგა
გიოტებორგი 0:1 კოპენჰაგენი
რუსენბორგი 4:4 იურგორდენი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XIII ტური

ბორისფენი 0:1 მეტალურგი (დ)
არსენალი 2:1 ჩერნომორეცი
კრივბასი 0:0 ვოლინი
მეტალისტი 1:0 ილიჩევეცი
მეტალურგი (ზ) 1:1 დნიპრო
ობოლონი 0:7 დინამო
ვორსკლა 1:0 ტავრია
შახტარი 1:0 ზაკარპატია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახას მგზავრი იონ დალი

## კალაძე დანიას დასვენებული ემუქრება




ერთი მატჩი კალაძეს, ერთიც — პანკაროს, ასეთია „მილანის“ მწვრთნელის კარლო ანჩელოტის როტაციის პრინციპი. მწვრთნელი მარცხენაფლანგელ მცველებს ძირითად შემადგენლობაში რიგ-რიგობით ათამაშებს და, აგერ, ლამის სეზონის ნახევარი მიილია, ანჩელოტის კი კალაძე-პანკაროს შორის უკეთესი ვერ აურჩევია... თუმც იქნებ ამას არც აპირებს? ყოველ შემთხვევაში, ჩვენიანი მცველისთვის ანჩელოტისეული შემადგენლობის ხშირი ცვლა მისაღებია და ძველებურად აღარ განიცდის, ხანდახან უთამაშებელი თუ რჩება.



— წარმოუდგენელია, ფეხბურთელმა მთელი სეზონი შეუცვლელად ჩაატაროს, მით უმეტეს, როცა „მილანში“ ხარ და ყოველ მესამე დღეს თამაშია, სერია A, ჩემპიონთა ლიგა, იტალიის თასი, ნაკრები... თუ არ დაისვენე, ორგანიზმი ამხელა დატვირთვას ვერ გაუძლებს და ადრე თუ გვიან, გამოიფიტები — გვითხრა კახა კალაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

გუშინწინ „მილანის“ ძირითადში სწორედ მისი ჯერი იყო, პანკარო სათადარიგოდ დარჩა. გასულ უქმეებზე კი, „რომასთან“ პანკარომ ითამაშა და ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ გადაღლილი კალაძე ისვენებდა.

— ვერ ვიტყვი, რომ ანჩელოტის ჩემსა და პანკაროს შორის არჩევანის გაკეთება უჭირს, რიგ-რიგობით ვთამაშობთ, არც ძირითადში მოხვედრის პრობლემა გვაქვს და დასვენება, ძალების აღდგენაც აღარ გვიჭირს. ახლა, მაგალითად, „ბრეშასთან“ ჩემი ჯერი იყო, პანკარომ, „რომასთან“ წინა ტურში ითამაშა.

**— გამოდის, კვირას, „სიენასთან“ შენ მოგიწევს დასვენება.**

— ალბათ ასეც იქნება, თუმც ძირითად შემადგენლობას დღეს ვერც თავად ანჩელოტი იტყვის, კვირამდე იქნებ რამე შეიცვალოს.

**— ისე, „სიენასთან“ თუ არ ითამაშებ, ჩვენთვის უკეთესია, დანიასთან მატჩისთვის უფრო დასვენებული ჩამოხვალ.**

— ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, დანიამდე ერთი მატჩის თამაში დიდად არც უნდა დამეტყოს.

**— თბილისში როდის ჩამოხვალ?**

— ორშაბათს უკვე ნაკრებთან ერთად ვიქნები. შესაძლოა, თბილისში იონ დალ ტომასონიც წამომყვეს, დანიაც ხომ ორშაბათს ჩამოდის და ტომასონი გუნდს ალბათ თბილისში შეუერთდება.

**— კოპენჰაგენში ჩასვლას ვერ ასწრებს?**

— არ ვიცი. მითხრა, ეგებ თბილისში შენ წამოგყვეო. ვნახოთ, ტომასონი მილანიდან ან კოპენჰაგენში გაფრინდება და თბილისში გუნდს წაჰყვება, ან ერთად წამოვალთ. მარშრუტი ჯერ ზუსტად თვითონაც არ იცის.

**— მომავალ მატჩზე არ ლაპარაკობთ ხოლმე?**

— ერთი-ორი სიტყვა ვთქვით, დავემუქრეთ ერთმანეთს. გოლს არ გაგატანინებმეთქი, ვუთხარი. მატჩი გვაჩვენებს, ვისი აჯობებს. ისე კი, რა თქმა უნდა, დანია სერიოზული მეტოქეა და ურთულესი მატჩი გველის. დანიელები განსაკუთრებით ძლიერად სტუმრად თამაშობენ, თუმც უძლეველი გუნდი არ არის. ჩვენც თუ შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშეთ, ჩვენი საქმე უნაკლოდ ვაკეთეთ, დანიას უეჭველი მოვუგებთ.

**ქოგა ინასარიძე**

# მაკლიშმა შოთას სანაკრებო უარი უთხრა

## გოლი ბავშვივით მიხაროდა, მაგრამ...




„რეინჯერსმა“ შოტლანდიის ლიგის თასის მეოთხედფინალში თავის უმტარვალეს მეტოქე „სელტიკს“ 2:1 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა, გადამწყვეტი გოლი კი დამატებით დროში, მე-100 წუთზე შოთა არველაძემ გაიტანა. ეს არველაძის მეორე ოლდფირმული გოლი გახლდათ. პირველად შოთამ „სელტიკს“ 2002-03 წლების სქოთურ პრემიერლიგაში გაუტანა, ის მატჩი 3:3 დამთავრდა.

არველაძის ახლანდელი სელტიკური გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის — მიმდინარე სეზონში შოთა „რეინჯერსში“ უმეტეს მატჩებს ნახევარმცველად თამაშობდა და გოლებიც ბლომად ვერ გაჰქონდა...

— ფერნანდო რიკსენმა ცენტრიდან კარგად წამოიღო ბურთი, დამელოდა და გამოთავისუფლებულ ზონაში შეჭრილს მომცა პასი, ბურთი გავისწორე, „სელტიკის“ საჯარიმოში ცოტათი შევედი და ახლო კუთხეში გავიტანე.

**— პირველი გოლი „სელტიკმა“ გაიტანა და ძირითადი დროის მიწურულს გაათანაბრეთ — როგორი თამაში იყო?**

— მეტოქეს მართლა მაგრად ვაჯობეთ. ისე, „რეინჯერსის“ პირველი გოლიც ჩემი მონაწილეობით გავიდა — ბურთი ჩავჭერი, ნამუშის დავუგორე, მან დაარტყა და პრსომ დამატებაზე შეაგდო გამთანაბრებელი.

**— ახლაც ნახევარმცველად ითამაშე?**

— მთლად ნახევარმცველად არა, უფრო მარცხენა ინსაიდად.

**— „რეინჯერსის“ თავკაც ალექს მაკლიშთან ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, დაძაბული ურთიერთობა გქონდა — ნამატჩევს რამე ხომ არ უთქვამს?**

— მოედნიდან გასახდელში რომ შევდიოდი, ჟურნალისტებთან ნახევარი საათით შევყოვნდი და გასახდელში შესულს მაკლიში იქ არ დამხვდა.

**— ბრიტანელ ჟურნალისტებს რა უთხარი?**

— ვგრძნობდი, რომ ამ თამაშს ჩვენ მოვიგებდით-მეთქი.

**— მომდევნო რეინჯერსული მატჩი 14 ნოემბერსაა, „ჰიბერნიანთან“, იმავე დღეს იკრიბება საქართველოს ეროვნული ნაკრებიც...**

— მაკლიშს დღეს ვთხოვე, „ჰიბერნიანთან“ მატჩისთვის სანაკრებოდ გამათავისუფლეთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა, რა დროს ეგ არისო.

**— მიზეზთა გამო ამ სეზონში „რეინჯერსში“ ბევრი გოლი ვერ გაგაქვს და „სელტიკთან“ გატანილი შენთვის ალბათ ძალიან ფასეულია...**

— „სელტიკს“ რომ გავუტანე, ბავშვივით მიხაროდა, მაგრამ დღეს ამაზე უკვე აღარ ვფიქრობ.

**— აბა, რაზე ფიქრობ?**

— დანიასთან თამაშზე და მოგებაზე...

სელტიკთან მატჩზე აზრის გამოთქმა მეორე რენჯერსელ ჩვენებურს, *ზურაბ ხიზანიშვილსაც* ვთხოვეთ:

— ჰენრიკ ლარსონის გაშვებით „სელტიკმა“ დიდი ძალა დაკარგა. ამ მატჩში კი ჩვენ მეტოქეზე უკეთ ვიყავით მზად, კარგად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. „სელტიკი“ უფრო ფრეზე ფიქრობდა, მაგრამ ჩვენ შინ ვთამაშობდით და აიბროქსელი გულშემატკივარი პასიურ თამაშს ვერ შეეგუებოდა. ჩვენ „სელტიკზე“ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვქონდა დაკისრებული და ტემპის დაგდების ნებას ჩვენი გულშემატკივარი არ მოგვცემდა.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი მეორე წრე 15 ტური

# მიკროსასწაული არაფერში

მცხეთა. 11 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 0:0 ლოკომოტივი

| ვიტ ჯორჯია | ლოკომოტივი |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, პ. დათუნაიშვილი, გველესიანი (ვ. გოჩაშვილი 55), ლ. კვარაცხელია, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ადამია (სახოკია 79), ე. მერებაშვილი (მარცვალაძე 62) *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ლომაია, ქოქიაშვილი, ებანოიძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | ლოკომოტივი: ბათიაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი, ბურდული, ბაქრაძე, სიჭინავა, გოგობერიშვილი, ქებაძე, სირბილაძე (ლ. ჩხაიძე 84), ბობოხიძე (გ. შენგელია 89) *სათადარიგონი:* გვარამაძე; გ. ახალაია, სოსელია, ავალიანი, ი. ღლენტი მწვრთნელი: ზაურ სვანაძე |
| გაფრთხილება: ბობოხიძე (25), ბურდული (35), იმედაშვილი (83) | |
| მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე; ა. შილაკაძე (ორივე თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |

**დავით თავართქილაძე** მცხეთიდან

მცხეთაში თამაში კი არა, ბრძოლა იყო — ვინძლო თამამი ნათქვამია, მაგრამ უხარისხო და ნაწვიმარ საფარზე ამის მეტი არაფერი გამოუვიდათ ფეხბურთელებს. შედეგად, „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე დარჩნენ და „ბათუმთან“ სხვაობა სამ ქულამდე გაზარდეს — დიდი ვერაფერი მონაგარია, მაგრამ ესეც საქმეა, რადგან წაგება „ვიტ ჯორჯიასაც“ შეეძლო და „ლოკომოტივსაც“.

პირველ ტაიმში ბურთს მეტწილად „ლოკომოტივი“ ფლობდა, მაგრამ მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთან სტუმართა შეტევები მუხრუჭდებოდა. ლოკომოტიველები უფრო ცენტრში ყოჩაღობდნენ, თორემ ფლანგებიდან ბევრი არაფერი გამოსდიოდათ.

შესვენებამდე გუნდებმა თითო საგოლე მომენტი შექმნეს. პირველი „ლოკომოტივი“ დაემუქრა მეტოქეს — ალეკო გოგობერიშვილმა საჯარიმო ჩაჰკიდა, გრიგოლ ბედიაშვილი გამოსვლაზე შეცდა და ირაკლი სირბილაძემ თავით მეკარისგან მიტოვებულ კარს ვერ დაუმიზნა.

ზუსტი თავური დააკლდა „ვიტ ჯორჯიასაც“ — ერეკლე მერებაშვილის ჩაწოდებულს გიორგი ადამია კი დაუხვდა, მაგრამ კარისკენ მიმავალ ბურთს დავით ბაქრაძე გადაელობა.

არც მეორე ტაიმი გამოდგა დიდი ხვითო, ბრახა-ბრუხი, წვივსაფართა ტკაცუნი და ქაცვების ლაკუნი ბლომად იყო, მაგრამ შინაარსი და რეჟისურა (ხმამაღალი ნათქვამია) არანაირი. 75-ე წუთამდე საინტერესო არც არაფერი მომხდარა — მიხეილ ბობოხიძემ მეტოქის საჯარიმოსთან ერთი მცველი ჩამოიცილა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.



აი, ამის შემდეგ კი აძიგძიგდნენ გუნდები. ლოკომოტიველ მცველებს ოთარ მარცვალაძე გაეპარათ, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ უძლიერესად გასროლილ ბურთს როინ ონიანი ჩაუწვა, ხიფათი გაგრძელდა, უკუგდებული ბურთი ლევან კვარაცხელიას მიუვიდა, ის ზურაბ ბათიაშვილთან პირისპირ დარჩა, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ „ლოკომოტივის“ მეკარემ მიკროსასწაული მოახდინა და „ვიტ ჯორჯიაც“ ოდენ კუთხურს გამორჩა.

აქედან რამდენიმე წამში სტუმრებმა კონტრშეტევა გაშანსეს, ბურთი ლადო ბურდულმა მოიგდო, წინ გაიგდო და ზედ „ვიტ ჯორჯიას“ საჯარიმო მოედნის ხაზთან წააქციეს. ჯარიმა გოგობერიშვილმა დაარტყა და ბედიაშვილმა ძალიან უხერხული ბურთი მოიგერია.

ამის შემდეგ გუნდებმა შორეული დარტყმებითაც სცადეს ბედი — ზაზა სახოკიამ ჯარიმიდან არაზუსტად დაარტყა, ხოლო თენგიზ სიჭინავამ ბედიაშვილის ხელებს დაუმიზნა ბურთი.

ბოლო შანსი „ვიტ ჯორჯიას“ ჰქონდა — მარცვალაძე კვლავ დაუსხლტა მცველებს და მახვილი კუთხიდან ძელ-ხარიხის გადაკვეთას სანტიმეტრებში ჩაუზუზუნა ბურთი.

... სხვა რომ არაფერი, გუშინ მცხეთა საფეხბურთო ხასიათზე არც იყო — ტრიბუნაზე ასი ქომაგი თუ იქნებოდა.

### საუკეთესო

**ზურაბ ბათიაშვილი**



*მატჩის ყველაზე საინტერესო, სახიფათო და გადამწყვეტ ეპიზოდში ზურაბ ბათიაშვილმა იყოჩაღა — მან ისეთი ბურთი აიღო, ხანდახან დიდი მეკარეებიც რომ ვერ იღებენ — ლევან კვარაცხელიას 3-4 მეტრიდან დარტყმული როგორც იტყვიან, კარიდან გამოაძრო, ურთულესი ბურთი ჩაწოლილმა ფეხით მოიგერია. ისედაც, ბათიაშვილი მთელი თამაში ძალიან თავდაჯერებულად იდგა კარში, ერთხელ გამოსვლაზეც ჩინებულად გაისარჯა.*

# დაარტყამ, იგებ, არ დაარტყამ, იგებ

ბათუმი. 11 ნოემბერი. 14 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:1 ტორპედო

| ბათუმი | ტორპედო |
|---|---|
| 0:1 ბეგლარ თედორაძე (20ს.კ.) | |
| ბათუმი: ი. ბალაძე, ი. მახარაძე (ფირცხალაიშვილი 55), ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, გალოგრე, ხუჯაძე, ღლონტი, ქაცარავა (ბესიკ თედორაძე 65), დარჩიძე (მანჩხავა 60), გ. ნოდ. ჭელიძე, ხომერიკი *სათადარიგონი:* კაკალაძე; ჩიკვილაძე, ექონია, ი. შენგელია მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | ტორპედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, ებრალიძე, ლ. მერებაშვილი, ნერგაძე, ბოლქვაძე, მეგრელაძე, ს. თოდუა, მემარნიშვილი, კოშკაძე (მუმლაძე 75), გ. დარსაძე (ადუაშვილი 88) *სათადარიგონი:* გ. გაბელია; დათუნაშვილი, რევაზიშვილი, ჯანჯალია მწვრთნელი: ოთარ გაბელია |
| გაფრთხილება: გუშარაშვილი (86), თოდუა (62), ბოლქვაძე (20) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე | |

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

წინა ტურში „ბათუმი“ „თბილისთან“ დამარცხდა და მეოთხედან მეექვსე ადგილზე ჩაქვეითდა. ამირან გოგიტიძის შეგირდებმა უკვე მეხუთე მატჩი ჩააგდეს, თუმც „ბათუმი“ ამ სეზონში აქამდე საკუთარ მოედანზე არ დამარცხებულიყო და ეს ქუთათურებმა მოახერხეს, თან კურიოზული გოლის წყალობით.

მე-15 წუთზე უწყინარ სიტუაციაში მეკარე ბალაძე ბურთს ვერ დაეუფლა, ხელიდან გაუსხლტა, იქვე ჩასაფრებული კოშკაძე არ დაიბნა და ძლიერად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა, გადმოვარდნილი კი ბათუმელთა მცველ ბეგლარ თედორაძეს მოხვდა და ავტოგოლიც გავიდა — 0:1.

არადა, მატჩი ბათუმელთა უპირატესობით დაიწყო და გოლს მათ კარში არაფერი მოასწავებდა. დასაწყისშივე ხელსაყრელი პოზიციიდან ხომერიკმა ვერ მოახერხა მეტოქის კარის აღება.

გაშვებული ბურთის შემდეგაც არ მოდუნებულან ბათუმელები, მაგრამ იღბალი აშკარად „ტორპედოსკენ“ იყო. 25-ე წუთზე დარჩიძემ ისევ კარგად მოძებნა ხომერიკი, მოედნის ცენტრიდან გადააწოდა ბურთი, მაგრამ „ბაჩას“ ისევ არ გაუმართლა..

„ბათუმმა“ შეტევას უმატა, ქუთაისელები კი კონტრშეტევებით იმუქრებოდნენ. ტაიმის მიწურულს გოგიტიძის შეგირდებს ხელოვნური თამაშგარე არ გამოუვიდათ, შედეგად კი ქუთაისელთა მთავარმეგოლე მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა. მან მეკარეც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან კარში დარტყმას ჩაწოდება არჩია, საჯარიმოში კი ბეგლარ თედორაძემ იმარჯვა და ვითარება განმუხტა.

მეორე ტაიმი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და უხეშობამაც იმატა. არბიტრ ლექსო კრიჭაშვილსაც საქმე მიეძალა და რამდენჯერმე ჯიბეზე ხელის გაკვრამაც მოუწია.

ორთაბრძოლებს გადაყოლილ ფეხბურთელებს თამაშის ხარისხისთვის სულაც არ ეცალათ და ხეირიანმა კომბინაციებმაც იკლო.



*ოთარ გაბელია:* ვიცოდით, რომ რთული თამაში იქნებოდა, თანაც ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალა, მეგრელაძე ტრავმით გამოვიდა მოედანზე. მოკლე სკამი გვაქვს, რაც დიდი პრობლემაა ჩვენთვის. ჯერ გავიჭირვებთ, ზამთრის შესვენების შემდეგ კი ხელმძღვანელობას დაველაპარაკებით.

გუნდს დაცვიდან თამაში ვთხოვე. ჭელიძე კარგი თავდამსხმელია, ხომერიკი კი თავით კარგად თამაშობს. ამიტომ მეტოქეს ჩაწოდების საშუალებას არ ვაძლევდით. „ბათუმი“ კარგი გუნდია, მაგრამ დღევანდელ შეხვედრაში ბედი არ სწყალობდა. ჩემმა გუნდმა ოღონდ მოიგოს და, თუნდ კარშიც არ დაარტყას..



*ამირან გოგიტიძე:* ფეხბურთელი რკინა არ არის, ის შეიძლება საბედისწეროდ შეცდეს. ბოლო თამაშებია, ბედი არ გვწყალობს. გვაქვს უამრავი სახიფათო მომენტი, გოლი კი არ გადის.

თუ წასასვლელი ვიქნები, თვითონ გადავწყვეტ ამას და წავალ. დახმარება არ მჭირდება, როცა მწვრთნელად ინიშნები, ბარგიც ჩალაგებული გაქვს და წასასვლელად მზად ხარ.

ფოთი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:0 დინამო

| კოლხეთი | დინამო |
|---|---|
| კოლხეთი: ქვაჩახია, ჭითანავა, მ. ქობულაძე, დ. ნარსია, აკობია (თაყაძე 89), ე. მარგალიტაძე, ღონღაძე, ვართაგავა, კუნჭულია, გ. თოდუა, ძოძუაშვილი | დინამო: ზოიძე, ლ. სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, სილაგაძე (გონჩაროვი 84), კანდელაკი, კ. ალადაშვილი (რომერო 80), კვირკველია, კანკავა, ნემსაძე, დვალი (მ. კაკალაძე 61), მელქაძე |
| სათადარიგონი: გ. შენგელია; ზ. ქუთათელაძე, ნ. ნარსია, გ. კილასონია | სათადარიგონი: მამალაძე; შაშიაშვილი, კ. მახარაძე, ქუცურუა |
| მწვრთნელი: სერგო გაბელაია | მწვრთნელი: გია გეგუჩაძე |

გაფრთხილება: ალადაშვილი (35), მელქაძე (77)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: ა. ბურჯალიანი

# სანაია რომ კარის ჩარჩო იყოს

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

გუშინ „დინამომ“ „კოლხეთთან“ 90-წუთიან ჯაჯგურში უაღრესად საჭირო ორი ქულა დაკარგა საჩემპიონო რბოლაში და ზესტაფონში დაბრუნებული ლიდერობა ისევ „ტორპედოს“ გადაულოცა.

„ფაზისზე“ უშელავათო ბრძოლაში და უგოლო ფრით გაიყარნენ მეტოქენი და კაცი ვერ გაბედავს თქვას, ეს ალოგიკური შედეგი იყოო. კოლხები ტოლ-სწორად ეთამაშნენ ჩემპიონატის ლიდერს და თავი არაფერში შეურცხვენიათ. უპირველესად კი ბრძოლაში, რომლის წყალობითაც გავიდნენ სწორედ ფონს სერგო გაბელაიას შეგირდები.

ერთიცაა სათქმელი — მთელი თამაში ისე ჩაილია, ბურთი კარის ჩარჩოში არავის მოურტყამს. მეორე ტაიმის შუაწელში კი მაყურებელი ერთობ გაახალისა ორმა ეპიზოდმა, როცა სულ რაღაც წამებში მსაჯ დავით სანაიას ორჯერ მოახვედრეს ბურთი მასპინძლებმა. პირველად ქვაჩახიამ ზურგში მოარტყა, მეორედ კი თოდუამ თავში და კინაღამ ნოკდაუნშიც ჩააგდო.

პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა. ეგ იყო, დებიუტში „კოლხეთს“ წუთიერი გამოცოცხლება დაეტყო. მე-10 წუთზე მარჯვენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმა აკობიამ მწვავედ ჩააწოდა. ბურთს ჭიჭვეიშვილმა თავი წაჰკრა და შორეულ ძელთან ზოიძე ამას მზად დაუხვდა. თუმც ჩამორბენილმა ღონღაძემ თითქოს ხელში დაჭერილი ბურთი მეკარეს მოპარა და ახლოდან სასწაულებრივ ვერ გაიტანა. თუმც, არც უნანია, რადგან სანაიამ წესის დარღვევა დააფიქსირა.

წუთსაც არ გაევლო, მარგალიტაძეს თამაშგარეს მცდელობისას აჭრილი სტუმარი მცველების დასჯა რომ შეეძლო. მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მაღალი ბურთი დროულად ვერ მოათვინიერა და წამოწეულმა მცველებმა სიტუაცია იოლად განმუხტეს.

„კოლხეთი“ ეული ფორვარდის, ძოძუაშვილის სისწრაფის იმედზე იყო. მიილებდნენ თუ არა ბურთს მასპინძლები, უმალ მისკენ აგზავნიდნენ. თუმც „დინამოს“ მცველებს ამ ტაქტიკამ ვერაფერი ავნო. თავის მხრივ, გია გეგუჩაძის შეგირდები შეტევას კი აკოწიწებდნენ, მაგრამ მტკიცედ დაცულ მეტოქის საჯარიმოში ვერ ჭაჭანებდნენ.

ამგვარად ჩაილია პირველი ტაიმი, მეორეში კი სტუმრებმა ტემპს ოდნავ უმატეს და სათამაშო ინიციატივა უფრო თვალსაჩინო გახადეს. გატანაც შეეძლოთ, როცა კვირკველიას ნაკუთხურალ ბურთს საპენალტოსთან დვალი შეეგება, თუმც მისი თავური ფრიად უხეირო გამოდგა.

თავით „დინამოს“ მოგვიანებითაც მართებდა გატანა. მაღალ ბურთზე სალუქვაძემ კი დაასწრო ქვაჩახიას, მაგრამ დარტყმა მასაც აუცდა.

ყველაზე რეალური შანსი კი სტუმრებს ბოლოსკენ მიეცათ, როცა საჯარიმოში, ერთ ორომტრიალში ნემსაძე ურტყამდა კარში. არ გაუმართლა — შვიდიოდ მეტრიდან დარტყმული უზუსტო გამოუვიდა.

მოკლედ, კოლხებმა, რომ იტყვიან, ბრძოლაში გამოადნეს საჭირო ქულა, რომელიც უფრო მოგების ტოლფასი იყო. აი, „დინამოს“ კი ეტყობა, თანდათან რომ ეცლება ძალა და ზამთრის შესვენებამდე ძალიან გაუჭირდება მიღწეულის შენარჩუნება.

ნამატჩევს *გია გეგუჩაძემ* თამაშის შეფასება ძნელ საქმედ მიიჩნია, ფეხბურთზე მეტი ბრძოლა იყოო. ისიც დასძინა, თავის მართლება არ მიყვარს, მაგრამ მოედნის საფარი რომ არ ვარგოდა და ბურთის მომწოდებელი ბიჭების ნაკლებობა რომ იყო, ვერმოგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოო.

*სერგო გაბელაია*, კოლეგისგან განსხვავებით, კმაყოფილი ჩანდა, თუმც ერთში იმავე აზრისა იყო — ძალიან მაგარი ბრძოლა იყო და შედეგიც მისი შესაფერისიო.



გიორგი ნემსაძეს გატანას ცოტა დააკლდა

# ცაკარიასის პირველი ხუთიანები

ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

...ვაჰ, რა დრო დაგვიდგა, თორემ აქ „თბილისის“ საპარპაშო სად იყო... ლამის მთელი მატჩის განმავლობაში დანანებით თავს აქნევდა ერთი ბოლნისელი პოლიციელი და თან თბილისელთა ვიდეოოპერატორს გუნდს უქებდა, ყოჩაღ, სამართლიანად იგებთ და ღმერთმა შეგარგოთ სამი ქულაო.

ასეც იყო: მართალია, ლუის ცაკარიასის ბიჭებს ვეება უპირატესობა არ ჰქონიათ და ბობლიაშვილის საგუშაგო არ აუტალახებიათ, მაგრამ კლასით აშკარად აჯობეს „სიონს“ და როგორც ნამატჩევს აღმოჩნდა, მეორე ადგილზე აინაცვლეს. ერთადერთი, რაზეც თბილისელები წუხდნენ, ყვითელი ბარათების სიუხვე იყო — მომდევნო, „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში ცაკარიასი დისკვალიფიკაციის გამო სანდრო იაშვილს, გოჩა ხოჯავასა და გივი კვარაცხელიას ვერ დაიხმარს.

ტემპიანი თამაში იყო და საწყის ათ წუთში გუნდებმა თითოჯერ უჩხვლიტეს ერთმანეთს: ჯერ სტუმარმა სანდრო იაშვილმა გაისროლა სახიფათოდ, რასაც ბოლნისელმა მამუკა რუსიამაც მოაყოლა ოდნავ არაზუსტი დარტყმა. ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში დაგორავდა, რადგან სწორედ ამ მიდამოებში იწყებოდა ფეხებში ვარდნები და პრესინგი. იაშვილი მუდმივად კარზე იყო დაგეშილი, წამდაუწუმ ბურთს ითხოვდა და ტრადიციულად ნერვიულობდა, ხან მსაჯებს უბღვერდა, ხანაც თანაგუნდელებს. ტაიმის მიწურულს თბილისელთა გამთამაშებელმა ხოჯავამ ჩახვეული საჯარიმოთი ხარიხა აახმაურა და ეს აღმოჩნდა სიგნალი: ერთ წუთში იმავ ხოჯავამ ძელს მოარტყა ბურთი, შეტევა გაგრძელდა, გოგი ფიფიამ ვარდნაში დაარტყა და „სიონის“ მცველ ოქროპირიძეს ბურთი ხელზე მოხვდა, რასაც მსაჯის სასტვენიც მოჰყვა — დავით ოდიკაძეს პენალტის ნიშნულთან ფეხი არ აჰკანკალებია, 1:0. აბა, ისე როგორ იქნებოდა, ბოლნისელი გულშემატკივრები 11-მეტრიანს მშვიდად შეხვედროდნენ, თუმც ერთი-ორი მწვავე შეძახილის მერე ყველაფერი ჩაცხრა...

მეორე ნახევარიც პირველის ალიკვალი იყო, ფეხბურთელები ერთმანეთის წვივებს არ ინდობდნენ და ეს ოდნავ ალარიბებდა თამაშის სილამაზეს, თუმც ტემპს კაცი ვერ დაიწუნებდა. ამ გლადიატორულ ბრძოლაში „თბილისი“ უფრო ყოჩაღობდა, კვარაცხელია და განსაკუთრებით გოგუა ცენტრს ბატონპატრონობდნენ. ხოჯავას ორჯერ შეეძლო გატანა; ჯერ შეცვლაზე შესული მიქაძის ეშმაკური პასის შემდეგ ორ ბოლნისელს შორის მოექცა და ხეირიანად დარტყმა არ დასცალდა. მერე კი კობაურის „საჩუქარი“ ვერ შეირგო, ლამის პირისპირ დარჩენილმა ბობლიაშვილს ნელი დაურტყა.

და მაინც, „თბილისმა“ ბოლო წუთებზე სათუოდ არ გაიხადა საქმე და მეორეც გაიტანა. ისევ პენალტი, ისევ ზუსტია ოდიკაძე და „სიონიც“ გატყდა — ამჯერად პენალტი გოგუამ მოინაგრა, ფლანგზე მოატყუა ერთი მეტოქე და დამზღვევი ლამბაშიძისგან სარმა იგემა.

მოკლედ, *ლუის ცაკარიასმა* „თბილისში“ საქმიანობა ასპროცენტიანი შედეგით დაიწყო. მიჯრით მეორე მოგებამ პერუელი ძალიან გაახარა: „გუნდმა დავალება კარგად შეასრულა. ბოლო სამ მატჩში 8 ბურთი გვქონდა გაშვებული და დღეს უფრო პრაგმატული თამაში დავავალე ბიჭებს. მცველებმაც ხუთიანზე გააკეთეს საქმე“.

*გიორგი ყიფშიძე:* „სიონი“ შარშანდლის აჩრდილიც აღარ არის. ფეხბურთელების 80 პროცენტი უმაღლეს ლიგაში პირველად თამაშობს და გამოუცდელობა ეტყობათ. ჩვენ კონტრშეტევაზე, 4-5-1-ზე ავაგეთ თამაში, რადგან ვიცოდი, რომ „თბილისს“ პრესინგში ვერ ვაჯობებდით და ცენტრს ვერ მოვუგებდით. მაინც ვიტყვი, რომ პირველი პენალტი არ უნდა დადებულიყო. ჩვენი მცველი წაქცეული იყო და ბურთი ხელზე მოხვდა, თორემ განზრახ ხელით არ უთამაშია“.

ბოლნისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 500)

## სიონი 0:2 თბილისი

0:1, 0:2 ოდიკაძე (45პ, 76პ)

| სიონი | თბილისი |
|---|---|
| სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, ლამბაშიძე (ალავიძე 77), ცქვიტაია, ოქროპირიძე, ფეიქრიშვილი, ნ. ლაბაძე, ვერემჩუკი, მიქავა (გ. კილასონია 61), გოგოლაძე, რუსია | თბილისი: დევაძე, დ. ოდიკაძე, ორბელაძე, ქემოკლიძე, ელიავა, გ. კვარაცხელია, გოგუა, ხოჯავა (ა. კალაძე 81), გეწაძე, ს. იაშვილი (აფციაური 71), ფიფია (გ. მიქაძე 58) |
| სათადარიგონი: ასლანაძე; ბ. შელია, დ. არჩვაძე, ზაზაშვილი, გ. ჩალაძე | სათადარიგონი: შეყრილაძე; გ. ნუგ. ჭელიძე, მიქიაშვილი, მესხი |
| მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე | მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი |

გაფრთხილება: იაშვილი (30), ოქროპირიძე (44), კობაური (48), ხოჯავა (65) გეწაძე (66), კვარაცხელია (66), კალაძე (82)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ა. ნონიკაშვილი; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი



ბოლნისში დავით ოდიკაძის ოდოია დუბლი იყო

## საუკეთესო

### გოგიტა გოგუა



*უკვე ვთქვით, რომ გლადიატორული თამაში იყო და ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. აქ კი გოგუა გამოირჩეოდა, ციბრუტივით ტრიალებდა და თუ საჭირო იყო, შეტაკებასაც არ ერიდებოდა. გარდა ამისა, შემქმნელადაც ივარგა და ბოლნისელებს სწორედ მისმა მონადირებულმა პენალტმა მოუთავა ხელი.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 15 | 9 | 5 | 1 | 22:8 | 32 |
| თბილისი | 15 | 9 | 3 | 3 | 33:17 | 30 |
| დინამო | 15 | 9 | 3 | 3 | 30:16 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 7 | 4 | 4 | 26:19 | 25 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 7 | 2 | 19:7 | 25 |
| ბათუმი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:13 | 22 |
| კოლხეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:23 | 12 |
| სიონი | 15 | 3 | 2 | 10 | 13:33 | 11 |
| ზესტაფონი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:32 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11:26 | 8 |

# არ იყო შევჩენკო, არ იყო გოლი

## იტალია

### სერია A. XI ტური

**ბრეშა 0:0 მილანი**

ბრეშა: კასტელაცი, სტანკევიჩიუსი, დი ბიაჯო, მარეკო, ჟ. მარტინესი, შოპი (ძამბელი 82), გუანა, დომიცი (ძობოლი 84), დალამანო, ნიგაარდი (სკული 78), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, ბროკი (დორასო 80), პირლო, ზეედორფი, კაკა (სერჟინიო 74), რუი კოშტა (ტომასონი 74), კრესპო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პირლო, დი ბიაჯო, დომიცი, დი ბიაჯო
გაძევება: დი ბიაჯო (88)
მსაჯი: რაკალბუტო
15 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 ფიორენტინა**

1:0 ოლივერა (72)
იუვენტუსი: ბუფონი, პესოტო, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი (ოლივერა 55), ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 61), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში (ფანტინი 89), ვიალი, დელი კარი, დაინელი, არიატი (პორტილიო 73), ობოდო, კიელინი, მარესკა, ნაკატა (იორგენსენი 59), მიკოლი
მწვრთნელი: სერჯო ბუზო
გაფრთხილება: მარესკა, ნედვედი, დელი კარი, დელ პიერო, ოლივერა, ვიალი
მსაჯი: ფარინა
24 072 მაყურებელი

**ინტერი 2:2 ბოლონია**

1:0 მიხაილოვიჩი (40), 1:1 პეტრუცი (49), 2:1 ადრიანო (71), 2:2 ბელუჩი (88)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ბურდისო, მიხაილოვიჩი, პასკუალე, ხ. ვერონი (კ. ძანეტი 20), კამბიასო, დავიდსი, ემრე (რეკობა 90), ადრიანო, ო. მარტინსი (ვიერი 69)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ბოლონია: პალიუკა, ნასტასე, პეტრუცი (ტედესკი 90), გამბერინი, ბინოტო (ჟუარესი 71), ზაგორაკისი, ლოვიზო (ბელუჩი 74), ლ. კოლუჩი, კაპუანო, ლოკატელი, ჩიპრიანი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: კოლუჩი, ბურდისო, ნასტასე, კამბიასო, მიხაილოვიჩი, კაპუანო
მსაჯი: როზეტი
48 692 მაყურებელი

**რომა 0:3 უდინეზე**

0:1 იაკინტა (45), 0:2 პიზარო (60პ), 0:3 იაკინტა (83)
რომა: პელიცოლი, სარტორი, მ. ფერარი, მექსეში, კუფრე (დე მარტინო 75), მანსინი (სკურტო 67), დე როსი, პეროტა, აკილანი (მიდო 46), ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, მაური, პინცი (პაზიენცა 84), დ. პიზარო, მუნტარი (ბელერი 62), იანკულოვსკი, იაკინტა, დი მიკელე (დი ნატალე 75)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მუნტარი, დე როსი, პინცი, სკურტო
გაძევება: სარტორი (60)
მსაჯი: მორგანტი
41 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:0 ლაციო**

1:0 კ. ლუკარელი (42)
ლივორნო: ამელია, მელარა, ვარგასი, ა. ლუკარელი, პფერცელი, რუოტოლო, პასონი, ვიჯანი (გრაუზო 74), დოგა (ბალერი 64), პროტი (გალანტე 85), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ლაციო: სერენი, ოდო, ტალამონტი, ფ. კოუტუ, ო. ლოპესი (სერიჩი 80), კ. მანფრედინი (ა. ფილიპინი 59), დაბო, ე. გონსალესი, სეზარი (ს. ინძაგი 51), პანდევი, როკი
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
გაფრთხილება: მელარა, გონსალესი, ოდო
გაძევება: კოუტუ (90)
მსაჯი: ნუჩინი
15 000 მაყურებელი

**პარმა 1:0 რეჯინა**

1:0 მორფეო (79)
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, ბოვო, პოტენცა, კონტინი, გრელა (ბრეშიანო 46), ბუდელი (სიმპლისიო 54), მარკიონი, მორფეო, როზინა (რუოპოლო 73), ჯილარდინო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
რეჯინა: სოვიერო (პავარინი 14), ძამბონი, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, კანარზა, პარედესი, ტედესკო (ბორიელო 80), ბალესტრი, მესტო (მოცარტი 68), განჩი, ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, მესტო, განჩი, რუოპოლო, მოცარტი
მსაჯი: დე სანტისი
6 000 მაყურებელი

**სამპდორია 0:0 კალიარი**

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, ფალკონე (მ. კასტელინი 57), ტონეტო, დიანა (როსინი 83), დონადელი, პალომბო, დონი (კუტუზოვი 68), ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი (ლორია 80), კონტი, გობი, მ. ესპოზიტო, სუაცო (ლანგელა 68), ძოლა (დელნევო 65)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: ბაცანი, აბეიხონი, კონტი, პავანი, დონადელი, გობი
მსაჯი: მესინა
19 000 მაყურებელი

**სიენა 1:1 ლეჩე**

1:0 პეკია (29), 1:1 კასეტი (70)
სიენა: ფორტინი, არჯილი, კოლონეზე (არდიტო 78), პორტანოვა, ნიკოლა, კიუმიენტო, დი დონატო, ვერგასოლა, კამორანი (გრაფიედი 79), პეკია (ტ. ფლო 85), კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, პაჩი, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, ერიომენკო (ბაბუ 59), ბოჟინოვი, ბიელანოვიჩი (პინარდი 59), ვუჩინიჩი (დალა ბონა 59)
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: ვერგასოლა, რულო, პორტანოვა
მსაჯი: პიერი
8 000 მაყურებელი

**კიევო 1:0 ატალანტა**

1:0 ტირიბოკი (74)
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელი, დანა, ს. ლანა, სემიოლი, ბარონიო (სამარკო 88), ბრიგი, დ. ფრანჩესკინი (მალაგო 69), ტირიბოკი, ამაური (პელისიერი 69)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ატალანტა: ტაიბი, რივალტა, სალა, ნატალი, ბელინი (გაუტიერი 88), დ. ძენონი, ბერნარდინი, მარკოლინი (კომანდინი 88), მონტოლივო, ბუდანი (ინაჩიო პია 79), პაცინი
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
გაფრთხილება: ბელინი, მანდელი, ბერნარდინი
მსაჯი: საკანი
7 218 მაყურებელი



REUTERS

ბრეშა — მილანი. იონ დალ ტომასონმა მასპინძელთა მეკარე კასტელაცის ბურთი ვერ ააცილა

**მესინა — პალერმო**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„ჩვენ მთელ თამაშს ვაკონტროლებდით და სრული 90 წუთის განმავლობაში ვცდილობდით ნებისმიერი პოზიციიდან გოლი გაგვეტანა. წინა მატჩთან შედარებით დღეს ჩემი გუნდი გაცილებით მოწადინებული იყო, მაგრამ მეტოქედ ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი გვყავდა, რომელიც გრძელი პასების გამოყენებით შეტევაშიც სახიფათოდ გადმოდიოდა. გარდა ამისა, ჩვენ გვაკლდა ანდრეი შევჩენკო. იმედი გვაქვს, რომ იგი მალე გამოჯანმრთელდება, თუმცა მის გარეშეც შეგვიძლია კარგად თამაში" — ბრძანა „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გადაუღებელ წვიმაში „ბრეშასთან" ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ.

რატომ დასჭირდა ანჩელოტის შევჩენკოს „გარეშეც კარგ გუნდობაზე" მახვილის გაკეთება? ალბათ იმიტომ, რომ რაც უკრაინელი თავდამსხმელი დაშავდა, ანუ წინა თამაშის მეორე და ოთხშაბათის ორივე ტაიმი, „შავ-წითლებმა" გოლი ვერ გაიტანეს, ამან კი, შესაძლოა, ხალხში ეჭვი გააჩინოს.

რაც შეეხება წინა თამაშს, რომელიც უკვე ორჯერ ვახსენეთ, ის გახლდათ მატჩი „რომასთან", რომელსაც „მილანი" ეგებოდა, სანამ მოედანზე შევჩენკო იყო, შემდეგ კი რომაელებმა გაათანაბრეს.

და კიდევ ერთი, ამ თამაშში ჩვენთვის საინტერესო, უპირველეს ყოვლისა გახლდათ კახა კალაძე, რომელმაც ორივე ტაიმი ითამაშა და მატჩის მიწურულს ანდრეა პირლოს ჩაწოდებულ ბურთს სახიფათო თავურიც დაარტყა, მაგრამ მილანელების სამწუხაროდ, ბურთი არც ამ (ისევე, როგორც რამდენიმე სხვა) შემთხვევაში შევარდა კარში.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „რომას"... „ჯალოროსიმ" „სტადიო ოლიმპიკოს" უბრალოდ შეურაცხყოფა მიაყენა — „უდინეზემ" 3:0 დაამარცხა. მართალია, ჯერ მხოლოდ მე-11 ტურია და ასე საუბარი, ნაადრევია, მაგრამ უდინელები დედაქალაქში „მესამე ადგილიდან" ჩავიდნენ და, ფაქტობრივად, 2005-ის ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის იბრძოდნენ, თან სახელწოდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან. ჰოდა, ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულაც მოიპოვეს.

ლუიჯი დე ნერი, „რომას" მწვრთნელი: „რაც ამ გუნდის მწვრთნელი ვარ, ასე ცუდად არ გვითამაშია. მეორე მხრივ, ვეთამაშეთ დიდებულ გუნდს, რომელსაც გამარჯვება ეკუთვნოდა. პირველ ტაიმში რამდენიმე მომენტი შევქმენით, მაგრამ მეორეში, როგორც კი ლუიჯი სარტორი გაგვიძევეს, წინააღმდეგობა შევწყვიტეთ. მოკლედ, მოგვიგო გუნდმა, რომელიც გვჯობდა".

განვმარტოთ: რომაელი მე-60 წუთზე გააძევეს, როდესაც დავიდ დი მიკელემ მის რამდენიმე თანაგუნდელს ჩაუქროლა, ხოლო მისი გაჩერებისთვის სარტორმა უკნიდან სარმაზე უკეთესი ველარაფერი მოიფიქრა.

„ინტერმა" მეთერთმეტე ტურში მეცხრე ფრე ითამაშა... შეხვედრაში, რომელიც „შავ-ლურჯებმა" „ბოლონიასთან" 2:2 ითამაშეს, მასპინძლებს დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდათ ხუან სებასტიან ვერონი, რომელიც მე-20 წუთზე დაშავდა და კრისტიანო ძანეტით გახდა შესაცვლელი. მატჩის შემდომ პრესკონფერენციაზე „ინტერის" ასისტენტმა მწვრთნელმა (რობერტო მანჩინი, მოგეხსენებათ, დისკვალიფიცირებულია) ფერნანდო ორსიმ განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელების დიდებული თამაშის მიუხედავად გუნდის ცხოვრებაში დგას უცნაური პერიოდი, როდესაც ნებისმიერმა მეტოქემ იცის, რომ გოლს გაუტანს და თავადაც იციან, რომ ნებისმიერი მეტოქისგან გაუშვებენ.

ხოლო „იუვენტუსმა" „ფიორენტინას" 1:0 მოუგო.

„მადლობა რუბენ ოლივერას, რომელმაც მისთვის უჩვეულო, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე კარგად ითამაშა და გოლიც გაიტანა. მეტი მომენტი ჩვენ გვქონდა, მაგრამ მეორე ტაიმში ფლორენციელებმაც უკეთესი შესძლებლობები გაუშვეს ხელიდან". — განაცხადა „იუვენტუსის" თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

**პაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 22:4 | 18 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 12 |
| 2 მილანი | 11 | 6 | 4 | 1 | 16:7 | 9 | 22 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 9 | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 13 |
| 3 უდინეზე | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 11 |
| 4 ლეჩე | 11 | 4 | 4 | 3 | 24:20 | 4 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 6 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 10:12 | -2 | 6 |
| 5 კიევო | 11 | 4 | 4 | 3 | 8:10 | -2 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 |
| 6 ინტერი | 11 | 2 | 9 | 0 | 20:17 | 3 | 15 | 5 | 1 | 4 | 0 | 9:7 | 2 | 7 | 6 | 1 | 5 | 0 | 11:10 | 1 | 8 |
| 7 მესინა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:16 | 0 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:9 | 2 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 |
| 8 ლივორნო | 11 | 4 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 |
| 9 კალიარი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | -3 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 13 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 10 ფიორენტინა | 11 | 3 | 5 | 3 | 11:9 | 2 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | -1 | 6 |
| 11 სამპდორია | 11 | 4 | 2 | 5 | 8:8 | 0 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 4 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 10 |
| 12 ლაციო | 11 | 3 | 4 | 4 | 11:11 | 0 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 13 რომა | 11 | 3 | 4 | 4 | 19:20 | -1 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:10 | 2 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 4 |
| 14 ბრეშა | 11 | 4 | 1 | 6 | 10:16 | -6 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 |
| 15 ბოლონია | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 5 |
| 16 პალერმო | 10 | 2 | 5 | 3 | 7:9 | -2 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 17 პარმა | 11 | 2 | 5 | 4 | 12:17 | -5 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 18 სიენა | 11 | 2 | 5 | 4 | 7:14 | -7 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 |
| 19 რეჯინა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:12 | -4 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 7 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:7 | -4 | 3 |
| 20 ატალანტა | 11 | 0 | 6 | 5 | 11:19 | -8 | 6 | 5 | 0 | 4 | 1 | 7:8 | -1 | 4 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 9 |
| ადრიანო (ინტერი) | 9 |
| ბოჟინოვი (ლეჩე) | 8 |
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| ჯილარდინო (პარმა) | 6 |

**XII ტური**

13-14 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | : | ბრეშა |
| კალიარი | : | ინტერი |
| ფიორენტინა | : | ლივორნო |
| ლაციო | : | ბოლონია |
| ლეჩე | : | იუვენტუსი |
| მილანი | : | სიენა |
| პალერმო | : | სამპდორია |
| პარმა | : | კიევო |
| რეჯინა | : | რომა |
| უდინეზე | : | მესინა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სელტიკი აიბროქსზე გასკდა

## შოტლანდია

### ლიგის თასის 1/4 ფინალი

**რეინჯერსი 2:1დ.დ.(1:1) სელტიკი**

0:1 ჰართსონი (66), 1:1 პრსო (85), 2:1 არველაძე (100)

რეინჯერსი: შ. კლოსი, ხიზანიშვილი, ენდრიუსი, ბუმსონგი, ვინალი, ნამუში, რიკსენი, ა. რაე (ს. ჰიუზი 111), ლოვენკრანდსი (არველაძე 79), ნოვო, ს. ტომპსონი (პრსო 27)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

სელტიკი: დ. მარშალი, აგატი, ბალდე, მაკნამარა, ვარგა, ვალგაერენი, ლენონი, ს. პეტროვი (კ. ბიტი 90; მაკგიდი 105), ა. ტომპსონი, ჟუნინიო პაულისტა (ა. კამარა 67), ჰართსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: პრსო, ვინალი, ვარგა, ბალდე, ჰართსონი

მსაჯი: დუგალი

47 298 მაყურებელი

**დანფერმლაინი 1:3 ჰართსი**

0:1 ვებსტერი (33), 1:1 მეჰმეთი (60), 1:2 ჰარტლი (66პ), 1:3 ჰამილი (84)

ამ მატჩამდე „სელტიკს“ „რეინჯერსი“ ზედიზედ შვიდჯერ ჰყავდა დამარცხებული, ბოლოს „ჩაფრებმა“ „თეთრ-მწვანეებს“ 2003 წლის მარტში, ლიგის თასის ფინალში სძლიეს, საკუთარ სტადიონზე კი „რეინჯერსს“ თანაქალაქებისთვის 2002 წლის დეკემბრის შემდეგ არ მოუგო. გუშინწინ „აიბროქსზე“ დამატებით დროში ნავსი გატყდა და „სელტიკის“ მძლეველი გოლი შოთა არველაძემ მიითვალა. ერთ-ერთ საინტერნეტო გვერდზე გაიხსენეს, რომ შარშან ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „რეინჯერსმა“ კოპენჰაგენში სწორედ არველაძის გოლით იმარჯვა და ლიგაში მოხვდა. ასე რომ, ქართველი მატჩი ბედის გადამწყვეტი გოლების გამტან კაცად იქცა.

პირველ ტაიმში მასპინძელი სტივენ ტომპსონი დაშავდა და 27-ე წუთზე იგი დადო პრსომ შეცვალა, რომლის გვიანმა გოლმაც გუნდი მარცხისგან იხსნა.

შესვენებამდე „სელტიკს“ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა — ჯონ ჰართსონის თავით დარტყმული ბურთი მიწაზე დაცემის შემდეგ ხარიხას გადაევლო.

მეტწილად „რეინჯერსი“ უტევდა და კუთხურს კუთხურზე აზვევდა. სტუმართა მეკარე დევიდ მარშალმა თითოჯერ ნაჩო ნოვოსა და ზურაბ ხიზანიშვილს არ გაატანინა.

64-ე წუთზე სტანისლავ ვარგამ შეაზანზარა შტეფან კლოსის კარის ჩარჩო, სამი წუთის შემდეგ კი ჯონ ჰართსონმა მაინც გაიტანა — კუთხურიდან ალან ტომპსონის ჩაბზრიალებულს თავი შეაგება და ბურთი კარში შეაგდო.

ამის შემდეგ ლოვენკრანდსს არველაძე ჩაენაცვლა, თამაშის დასრულებამდე კი ხუთი წუთი რჩებოდა, როცა ნამუჩის ძლიერად დარტყმული მარშალმა მოიგერია, დასწრებაზე კი დადო პრსომ იყოჩალა და საგოლედ დაჰკრა.

მეასე წუთი „რეინჯერსისთვის“ იღბლიანი გამოდგა. რიკსენ-ნამუჩის კომბინაციის შემდეგ ბურთი არველაძემ მიიღო და საჯარიმოს ხაზიდან ცაციით მარშალს ახლო კუთხეში გაუტანა.



რეინჯერსი — სელტიკი. ნილ ლენონმა და ჟან-ალენ ბუმსონგმა ერთმანეთს თავი შეაკლეს

გლაზგოს „რეინჯერსი“ ლიგის თასის ნახევარფინალში გავიდა. ეს თასი „ჩაფრებს“ „სელტიკზე“ მეტჯერ, 23-ჯერ აღუმართავს. ნამატჩევს ალექს მაკლიშმა ქომაგებს მადლობა გადაუხადა, ბიჭები კარგად დაქოქესო. „ჩვენ დავიმსახურეთ მოგება და ასე კარგად თუ გავაგრძელეთ, თასს კიდევ ერთხელ მოვიგებთ“ — თქვა მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კანს დედალი ძაღლი მიმკარა



## გერმანია

### თასის მერვედფინალი

**პადერბორნი 2:2დ.დ.(პენ.1:4, 1:1) ფრაიბურგი**

0:1 ცქიტიშვილი (45პ), 1:1 ლიობი (90), 2:1 კარტუსი (102), 2:2 მოჰამადი (111)

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, მოჰამადი, ბ. დიარა, ვილი, ცქიტიშვილი, ბერნერი, ანტარი (შ. მიულერი 88), ტანკო (დორნი 77), სანუ (კაირო 59), იაშვილი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: ცქიტიშვილი

მსაჯი: ბრიხი

9 122 მაყურებელი

**აინტრახტი 0:2 შალკე**

0:1 ჰუსტერერი (32ს.კ.), 0:2 ჰანკე (77)

*ლინკოლნმა ვერ გაიტანა პენალტი (17, მეკარე)*

შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი (კლასენერი 90), ვალდოხი, ბორდონი, პანდერი, კობიაშვილი, კ. პოულსენი, ლინკოლნი (ჰანკე 63), ასამოა, გ. ვარელა (ჰამიტ ალტინტოპი 84), სანდი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ვარელა

მსაჯი: კირხერი

37 000 მაყურებელი

**ბაიერნი 3:0 შტუტგარტი**

1:0 ჰარგრივსი (35), 2:0 ბალაკი (69), 3:0 მაკაი (79)

**აალენი 2:3დ.დ.(2:2) ჰანზა**

| 19:00 | 568 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.75 | 3.4 | 4.5 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 569 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | 4.7 | 3.7 | 1.65 | 2.07 | 1.22 | 1.14 |
| 17:00 | 570 | ორჰუსი-ოდენსე | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 17:00 | 571 | ესბიერგი-რანდერსი | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 19:00 | 572 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ | 5.5 | 3.8 | 1.55 | 2.24 | 1.2 | 1.1 |
| | | **დანია პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 573 | დალუმი-ჰელერუპი | 3.5 | 3.6 | 1.8 | 1.77 | 1.18 | 1.2 |
| 16:0 | 574 | ბრიონსჰიოი-სიონდერიისკე | 4.3 | 3.8 | 1.6 | 2.01 | 1.16 | 1.12 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 575 | აკადემისკი-იოლსტიკე | 1.6 | 3.8 | 4.3 | 1.12 | 1.16 | 2.01 |
| 15:00 | 576 | ბ 93-ნესტვიდი | 1.8 | 3.6 | 3.5 | 1.2 | 1.18 | 1.77 |
| 15:00 | 577 | ფრემადი-ფრემი | 2.9 | 3.6 | 2.0 | 1.6 | 1.18 | 1.28 |
| 17:00 | 578 | ჰორსენსი-კიოგე | 1.9 | 3.6 | 3.2 | 1.24 | 1.19 | 1.69 |
| 17:00 | 579 | ნიკიობინგი-ფრედერისია | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 17:00 | 580 | ვეილე-სკიოლდი | 2.0 | 3.6 | 2.9 | 1.28 | 1.18 | 1.6 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 582 | ბოჰემიანი-დუბლინი | 1.5 | 3.8 | 5.2 | 1.07 | 1.16 | 2.19 |
| 22:45 | 583 | დროგედა-კორკი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 22:00 | 584 | შემროკი-სტ.პატრიკსი | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 22:45 | 585 | შელბურნი-უოტერფორდი | 1.45 | 4.0 | 5.4 | 1.06 | 1.14 | 2.29 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 581 | დერი-ლონგფორდი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 631 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 22:45 | 632 | საუთენდი-ლუტონი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 22:45 | 646 | პორტ ვეილი-კიდერმინსტერი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 633 | საუთპორტი-ჰერეფორდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 634 | სტოკპორტი-ჰადერსფილდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 635 | სუინდონი-უენსდი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 636 | როვერსი-კარლაილი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 637 | კემბრიჯი-ლეი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 638 | ჩელტენემი-სუონსი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 639 | ფორესტ გრინი-ბორნმუთი | 6.0 | 3.5 | 1.5 | 2.21 | 1.2 | 1.04 |
| 18:00 | 640 | ჰარტლპული-ლინკოლნი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 641 | ჰალი-მორიკომბი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 18:00 | 642 | ლეიტონი-დაგ ენდ რედი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 18:00 | 643 | მენსფილდი-კოლჩესტერი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 644 | ნორთჰემპტონი-ბარნსლი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 645 | პიტერბრო-ტრანმერი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 647 | როჩდეილი-ოქსფორდი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 648 | სკანთორპი-ჩესტერფილდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 649 | ჰალიფაქსი-კემბრიჯი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 650 | დარლინგტონი-იოვილი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 651 | ექსეტერი-გრიმსბი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 652 | ალდერშოტი-კონვი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 653 | ბარნეტი-ბასი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 18:00 | 654 | ბლეკპული-ტემუორთი | 1.35 | 4.1 | 7.5 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | **ნორვეგია პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 875 | ბოდიო გლიმტი-კონგსვინგერი | 1.4 | 4.5 | 5.5 | 1.06 | 1.11 | 2.47 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10040 | საუთჰემპტონი-პორტსმუტი | 2.7 | 1.95 | 3.7 | 1.13 | 1.57 | 1.28 |
| 10041 | ტოტენჰემი-არსენალი | 5.4 | 2.0 | 2.0 | 1.45 | 1.45 | 1.0 |
| 10042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2.4 | 1.95 | 4.5 | 1.07 | 1.56 | 1.36 |
| 10043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 2.2 | 2.0 | 5.3 | 1.04 | 1.55 | 1.45 |
| 10044 | ფულემი-ჩელსი | 4.4 | 2.1 | 2.0 | 1.42 | 1.37 | 1.02 |
| 10045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.7 | 2.4 | 6.5 | 1.0 | 1.34 | 1.75 |
| 10046 | სიტი-ბლექბერნი | 2.2 | 1.95 | 5.3 | 1.03 | 1.55 | 1.42 |
| 10047 | ბირმინგემი-ევერტონი | 2.7 | 1.95 | 3.7 | 1.13 | 1.56 | 1.27 |
| 10048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 3.3 | 1.95 | 3.1 | 1.22 | 1.59 | 1.9 |
| 10049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3.4 | 1.95 | 2.8 | 1.23 | 1.53 | 1.14 |
| 10050 | ფრაიბურგი-არმინია | 2.7 | 2.2 | 3.2 | 1.21 | 1.46 | 1.3 |
| 10051 | ჰანოვერი-მაინცი | 2.3 | 2.2 | 4.0 | 1.12 | 1.46 | 1.41 |
| 10052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2.8 | 2.2 | 3.0 | 1.23 | 1.44 | 1.26 |
| 10053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2.3 | 2.2 | 3.8 | 1.12 | 1.43 | 1.39 |
| 10054 | შალკე-ჰერტა | 2.1 | 2.1 | 5.0 | 1.04 | 1.47 | 1.47 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.4 | 2.05 | 4.0 | 1.1 | 1.15 | 1.35 |
| 10056 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 2.8 | 2.1 | 3.0 | 1.2 | 1.44 | 1.23 |
| 10057 | ბოხუმი-ბაიერნი | 5.0 | 2.1 | 2.1 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10058 | ჰანზა-ჰამბურგი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10079 | ბილბაო-ვილიარეალი | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10080 | ბეტისი-ბარსელონა | 4.6 | 2.1 | 2.2 | 1.44 | 1.48 | 1.07 |
| 10081 | ესპანიოლი-რასინგი | 2.2 | 2.1 | 4.6 | 1.07 | 1.48 | 1.44 |
| 10082 | ხეტაფე-მალაგა | 2.55 | 2.0 | 3.8 | 1.12 | 1.52 | 1.31 |
| 10083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.95 | 2.2 | 5.2 | 1.03 | 1.41 | 1.54 |
| 10084 | მალიორკა-ატლეტიკო | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10085 | ნუმანსია-სევილია | 3.9 | 2.05 | 2.4 | 1.34 | 1.48 | 1.1 |
| 10086 | ოსასუნა-სოსიედადი | 2.35 | 2.1 | 4.0 | 1.1 | 1.48 | 1.37 |
| 10087 | რეალი-ალბასეტე | 1.4 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.18 |
| 10088 | ვალენსია-სარაგოსა | 2.1 | 2.1 | 5.1 | 1.04 | 1.48 | 1.48 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15040 | საუთჰემპტონი-პორტსმუტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15041 | ტოტენჰემი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15044 | ფულემი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15046 | სიტი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15047 | ბირმინგემი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15050 | ფრაიბურგი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15051 | ჰანოვერი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15054 | შალკე-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15056 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15057 | ბოხუმი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 1058 | ჰანსა-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15069 | ატალანტა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15070 | კალიარი-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15071 | ფიორენტინა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15072 | ლაციო-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15073 | ლეჩე-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15074 | მილანი-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15075 | პალერმო-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15076 | პარმა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15077 | რეჯინა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | უდინეზე-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | ბილბაო-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ბეტისი-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | ესპანიოლი-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ხეტაფე-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | დეპორტივო-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | მალიორკა-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ნუმანსია-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ოსასუნა-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | რეალი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | ვალენსია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13040 | საუთჰემპტონი-პორტსმუტი | 1.7 | 1.9 |
| 13041 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13044 | ფულემი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13046 | სიტი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13047 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13050 | ფრაიბურგი-არმინია | 1.65 | 1.95 |
| 13051 | ჰანოვერი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.7 | 1.9 |
| 13053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13054 | შალკე-ჰერტა | 1.7 | 1.9 |
| 13055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.65 | 1.95 |
| 13056 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 1.75 | 1.85 |
| 13057 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13058 | ჰანსა-ჰამბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13069 | ატალანტა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13070 | კალიარი-ინტერი | 1.65 | 1.95 |
| 13071 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13072 | ლაციო-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13073 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 13074 | მილანი-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13075 | პალერმო-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13076 | პარმა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13077 | რეჯინა-რომა | 1.7 | 1.9 |
| 13078 | უდინეზე-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13079 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13080 | ბეტისი-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13081 | ესპანიოლი-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13082 | ხეტაფე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13084 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |
| 13085 | ნუმანსია-სევილია | 1.6 | 2.0 |
| 13086 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 13087 | რეალი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13088 | ვალენსია-სარაგოსა | 1.65 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12040 | საუთჰემპტონი-პორტსმუტი | 1.7 | 1.9 |
| 12041 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.7 | [illegible] |
| 12042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.75 | 1.85 |
| 12043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12044 | ფულემი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 12046 | სიტი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12047 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1.75 | 1.85 |
| 12050 | ფრაიბურგი-არმინია | 1.9 | 1.7 |
| 12051 | ჰანოვერი-მაინცი | 1.95 | 1.65 |
| 12052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.85 | 1.75 |
| 12053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 12054 | შალკე-ჰერტა | 1.85 | 1.75 |
| 12055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 12056 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 1.9 | 1.7 |
| 12057 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12058 | ჰანსა-ჰამბურგი | 1.9 | 1.7 |
| 12069 | ატალანტა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 12070 | კალიარი-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12071 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.75 | 1.85 |
| 12072 | ლაციო-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 12073 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 12074 | მილანი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12075 | პალერმო-სამპდორია | 1.65 | 1.95 |
| 12076 | პარმა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12077 | რეჯინა-რომა | 1.8 | 1.8 |
| 12078 | უდინეზე-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 12079 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12080 | ბეტისი-ბარსელონა | 1.8 | 1.8 |
| 12081 | ესპანიოლი-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12082 | ხეტაფე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.75 | 1.85 |
| 12084 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.8 | 1.8 |
| 12085 | ნუმანსია-სევილია | 1.8 | 1.8 |
| 12086 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.8 | 1.8 |
| 12087 | რეალი-ალბასეტე | 2.0 | 1.6 |
| 12088 | ვალენსია-სარაგოსა | 1.8 | 1.8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14040 | საუთჰემპტონი-პორტსმუტი | 1.8 | 2.0 |
| 14041 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.3 | 1.65 |
| 14042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14044 | ფულემი-ჩელსი | 2.4 | 1.6 |
| 14045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.3 | 3.0 |
| 14046 | სიტი-ბლექბერნი | 1.7 | 2.2 |
| 14047 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 14048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1.95 | 1.85 |
| 14049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2.0 | 1.8 |
| 14050 | ფრაიბურგი-არმინია | 1.8 | 2.0 |
| 14051 | ჰანოვერი-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.9 | 1.9 |
| 14053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.7 | 2.2 |
| 14054 | შალკე-ჰერტა | 1.5 | 2.6 |
| 14055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.7 | 2.2 |
| 14056 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 1.9 | 1.9 |
| 14057 | ბოხუმი-ბაიერნი | 2.3 | 1.65 |
| 14058 | ჰანსა-ჰამბურგი | 1.9 | 1.9 |
| 14069 | ატალანტა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 14370 | კალიარი-ინტერი | 2.2 | 1.7 |
| 14071 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.7 | 2.2 |
| 14072 | ლაციო-ბოლონია | 1.75 | 2.1 |
| 14073 | ლეჩე-იუვენტუსი | 2.2 | 1.7 |
| 14074 | მილანი-სიენა | 1.3 | 3.0 |
| 14075 | პალერმო-სამპდორია | 1.8 | 2.0 |
| 14076 | პარმა-კიევო | 1.8 | 2.0 |
| 14077 | რეჯინა-რომა | 2.0 | 1.8 |
| 14078 | უდინეზე-მესინა | 1.7 | 2.2 |
| 14079 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.8 | 2.0 |
| 14080 | ბეტისი-ბარსელონა | 2.2 | 1.7 |
| 14081 | ესპანიოლი-რასინგი | 1.7 | 2.2 |
| 14082 | ხეტაფე-მალაგა | 1.75 | 2.1 |
| 14083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.65 | 2.3 |
| 14084 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.9 | 1.9 |
| 14085 | ნუმანსია-სევილია | 2.1 | 1.75 |
| 14086 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.75 | 2.1 |
| 14087 | რეალი-ალბასეტე | 1.3 | 3.0 |
| 14088 | ვალენსია-სარაგოსა | 1.65 | 2.3 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11040 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11041 | ტოტენჰემი-არსენალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11044 | ფულემი-ჩელსი | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 20.0 | 10.0 |
| 11046 | სიტი-ბლექბერნი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11047 | ბირმინგემი-ევერტონი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11050 | ფრაიბურგი-არმინია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11051 | ჰანოვერი-მაინცი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11054 | შალკე-ჰერტა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.8 |
| 11056 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11057 | ბოხუმი-ბაიერნი | 6.8 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11058 | ჰანზა-ჰამბურგი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11069 | ატალანტა-ბრეშა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11070 | კალიარი-ინტერი | 5.6 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.8 |
| 11071 | ფიორენტინა-ლივორნო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11072 | ლაციო-ბოლონია | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11073 | ლეჩე-იუვენტუსი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11074 | მილანი-სიენა | 1.8 | 15.0 | 35.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11075 | პალერმო-სამპდორია | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11076 | პარმა-კიევო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11077 | რეჯინა-რომა | 4.5 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11078 | უდინეზე-მესინა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11079 | ბილბაო-ვილიარეალი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11080 | ბეტისი-ბარსელონა | 5.8 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.8 |
| 11081 | ესპანიოლი-რასინგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.8 |
| 11082 | ხეტაფე-მალაგა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11083 | დეპორტივო-ლევანტე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11084 | მალიორკა-ატლეტიკო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11085 | ნუმანსია-სევილია | 5.0 | 10.0 | 20.0 | 5.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 11086 | ოსასუნა-სოსიედადი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.4 | 5.5 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11087 | რეალი-ალბასეტე | 1.7 | 15.0 | 40.0 | 3.4 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 10.0 | 12.0 |
| 11088 | ვალენსია-სარაგოსა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |



ზურაბ კახაბრიშვილს თამადობაც სანაქებო სცოდნია

# ჰიპოკრატეთა ოლიმპიური ნადიმი

**ამ რვა** წლის წინათ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა უხეირო გამოსვლა — რაც ორად-ორი ბრინჯაოს მედლით აისახა — მნიშვნელოვანწილად სპორტსმენთა ცუდი სამედიცინო მომსახურებითაც ახსნეს. ამ მხრივ სიდნეის თამაშებისთვის საქმე ცოტა გამოკეთდა და მონაგარიც გასამმაგდა, საათენოდ კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ჩვენი ოლიმპიელების სამედიცინო სამსახურის საჭე ახალგაზრდა პროფესორს ზურაბ კახაბრიშვილს მიანდეს და მანაც ირგვლივ მრავალი სპეციალისტი შემოიკრიბა. მათი მონდომებაც იყო, რომ ჩვენმა ოლიმპიელებმა, ბოლოს და ბოლოს, თორმეტწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, როგორც იქნა, ოლიმპიური ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატებზეც ასეთივე წარმატებებს მიაღწიეს.

როგორც გუშინდელ „სარბიელში" ვიუწყებოდით, სახელმწიფომ ჩვენი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ათენური მონაგარი შესაბამისი სიუხვით დააფასა. არც სამედიცინო პერსონალი დაივიწყეს, გუშინ კი ზურაბ კახაბრიშვილმა თავისი კოლეგების მთელი არმია რესტორან „შობაში" შეკრიბა, თავისი პრემია ყველას გაუნაწილა და დიდებული ნადიმიც მოაწყო.

კახაბრიშვილს ოლიმპიელთა მედიკოსების მეთაურობასთან ერთად სუფრის ხელმძღვანელობაც დიდებულად შესძლებია. ერთი ორი ჭიქის მერე სადღეგრძელოებს ლექსებიც მოაყოლა და ამით სალერღერაშლილმა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა, რომელსაც სუფრა ფეხზე წამოუდგა, სამადლობელი ლექსითვე გადაიხადა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ახალი კაცი ხუთრგოლიან სავარძელში

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის რეგიონალურ ორგანიზაციას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. ეს გახლავთ კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი დავით ოქიტაშვილი. იგი ამ პოსტზე გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ არჩევნებზე აირჩიეს.

დავით ოქიტაშვილი რიგით მესამე თავმჯდომარედ მოგვევლინა. მას ამ საზოგადოებრივ თანამდებობაზე მოცილე არც ჰყოლია. იქ შეკრებილმა სპორტულმა საზოგადოებამ — რომელთა შორის ვხედავდით როგორც ვეტერან ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებს, ისე ათენის ოლიმპიადის გამარჯვებულ ზურაბ ზვიადაურსა და ვერცხლის მედალოსან ნესტორ ხერგიანს, აგრეთვე სხვადასხვა დონის სპორტის ფუნქციონერებს — დავით ოქიტაშვილი ერთხმად აირჩია.

წესით და რიგით, გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში" საანგარიშო მოხსენებაც უნდა გამართულიყო, მაგრამ ძველი თავმჯდომარის ვლადიმერ კანკავას ავადმყოფობის გამო ეს არ მოხერხდა. და რაკი კანკავამ უფლებამოსილება მანამდე მოიხსნა, მხოლოდ არჩევნები ჩატარდა. აირჩიეს თერთმეტკაციანი გამგებლობაც.

როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა თქვა, დავით ოქიტაშვილი კულტურის სფეროში აქტიური საქმიანობით გამოირჩევა, სპორტში კი უცხო კაცი იყო, მაგრამ მისი სიყვარულით სულ უფრო „იწამლება" და მალე ამ მხრივ კულტურასაც გადაწონისო.

„ჩემთვის ეს ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა — ამბობს დავით ოქიტაშვილი — როცა სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ეს იდეა წამოაყენა, მეგონა ხუმრობდა. მერე, როცა დავფიქრდი, გადავწყვიტე, რომ საქმისთვის ასე ჯობდა და დავთანხმდი. ახლა ჩვენმა სამსახურმა ნორმალური ფუნქციონირება რომ შესძლოს, სასწრაფოდ შენობა და დაბინავებაა საჭირო. იმედია ეს საქმეც მოგვარდება, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტის სახელზე ცნობილი სპორტსმენების სახელით სათანადო თხოვნა არჩევნების დამთავრებისთანავე დაიწერა."

**ავთანდილ ჭყვიშელი**



**დაბლტიეის ჩემპიონატი**

ლოს ანჯელესი. ხელოვნური საფარი. საპრიზო 3 მილიონი $

# სერენას ბოლომდე უნდა ჩაუგდო

**ჯგუფური ეტაპი**

**წითელი ჯგუფი**

ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:0, 6:1;
სერენა უილიამსი (7, აშშ) — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 4:6, 6:3, 6:4

**შავი ჯგუფი**

სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) 6:2, 6:4



**სერენა უილიამსი** ბოლო თვეების განმავლობაში იმდენად დემონსტრაციულად უარობდა ჩოგნაობას, რომ მილეთში მისი უკვე აღარავის ეჯერა. ხოლო როცა ამ ერთი კვირის წინ პირს ბროსნანის ახალი ფილმის პრეზენტაციაზე სულაც ძუძუებმოდღლეზილმა შეისეირნა, მის საჩოგბურთო ამბიციებში თვით უერთგულეს ქომაგებსაც კი შეეპარათ ეჭვი. და, მართალია, რვაქალა ტურნირის პირველ დღეს მან წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონ ანასტასია მისკინას აჯობა, ამან მაინც არ უნდა მოგვატყუოს — ის ამ შეხვედრაში ძალიან მოჟანგული იყო, მეტოქის 41 შეცდომის წილ 61-ჯერ მიჰქარა და ჯამში უფრო იმიტომ მოიგო, რომ გადამწყვეტ მომენტში რუსგოგომ სასიკვდილო დარტყმის მიყენება [illegible] თურად მოცდა არჩია.

ეს გადამწყვეტი მომენტი მეორე სეტის მეოთხე გეიმში დადგა, როცა პირველ სეტში გამარჯვებული მისკინა 3:0 იგებდა და ყველანაირი ლოგიკით, საქმის ბოლომდე მიყვანა ცომცით უნდა მოეხერხებინა. მაგრამ... „მე უკანდახევა დახევა დავიწყე, იმის იმედით, რომ ანერვიულებული სერენა შეცდომებს მოუხშირებდა. სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი არ გამართლდა" — ვალალებდა ნამატჩევს მისკინა.

სავალალო კი მას ნაღდად ჰქონდა. იგუმანა რა, რომ მეტოქე მის ბოლომდე დათრგუნვას აღარ აპირებდა, სერენა აბობოქრდა, მიჯრით რვა გეიმი მიითვალა და გადამწყვეტ სეტში 2:0 დაწინაურდა. ამის მერე მისკინა კვლავ გააქტიურდა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლო და მეშვიდე გეიმში ისევ საკუთარ მოწოდებაზე წაიფორხილა. უმცროსს უილიამსს სადავეები ამჯერად აღარ გაუშვია და ყველაფერი საათში 177-კილომეტრიანი ეისით მოაგვირისტა. „დღეს მოგება ძალიან მინდოდა — იძახდა ის მერე — ბოლო კვირების განმავლობაში მართლაც მაგრად ვიმუშავე და, თუმცა ჯერ-ჯერობით საუკეთესო ფორმა არ აღმიდგენია, მაგრამ ყველას ვპირდები, რომ იოლად არავის არაფერს დავანებებ."

რაც შეეხება დანარჩენ ორ მატჩს, აქ ყველაფერი შედარებით უბრძოლველად გადაწყდა. 28 წლის ლინდსი დევენპორტმა, რომელიც წლის დამაგვირგვინებელი ტურნირის 1999 წლის ჩემპიონია, მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა რუს ელენა დემენტიევას და საოცრად სწრაფად, 25 წუთში გადაურბინა. აშშ-ის ღია პირველობის წლევანდელმა გამარჯვებულმა სვეტლანა კუზნეცოვამ კი საათზე ოდნავ მეტი მოანდომა მონდომებული თვისტომის, რვაქალაში ბოლო წამს შევარდნილი ვერა ზვონარიოვას ძლევას. ზვონარიოვამ ჩოგანი არ დაზოგა, მაგრამ თავისი უფრო ჯმუხი და უდრეკი თვისტომის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა.

შეგახსენებთ, რომ შავ ჯგუფში კიდევ მეორე ნომრად განთესილი ამელი მორესმო და რანგით მეექვსე ჩოგნის მქნეველი მარია შარაპოვა უნდა გაირჯნენ. ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გადის, ხოლო ფინალი 15 ნოემბერს შედგება.

**ლევან ძელაურაძე**



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 10 ნოემბერი —

**მილუოკი 102:100 შარლოტი**

მილუოკი: უილიამსი (8 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), რედი (26), ვან ჰორნი (23), ჯ. სმიტი (7 ქულა, 10 მოხსნა), გაძურიჩი (1); მეისონი (31), სტრიკლენდი (5), სანტიაგო (1), კუკოჩი

*ფაჩულიას ტრავმის გამო არ უთამაშია*

შარლოტი: ჰარტი (19 ქულა, 12 პასი), ჰაუსი (15), ვოლესი (12), ოკაფორი (8 ქულა, 13 მოხსნა), ბრეზეცი (20); კაპონო (11), ვაიტი (8), ს. სმიტი (7), რობინსონი

**ბოსტონი 90:88 პორტლენდი**

ბოსტონი: პირსი (20), ლაფრენცი (18 ქულა, 10 მოხსნა)

პორტლენდი: რენდოლფი (22), მაილზი (21)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**მემფისი 110:87 ლეიკერსი**

მემფისი: გასოლი (22), ბეტიე (18)

ლეიკერსი: ბრაიანტი (20)

**ინდიანა 68:102 კლიპერსი**

ინდიანა: ჯექსონი (17), ტინსლი (15)

კლიპერსი: ბრენდი (19 ქულა, 16 მოხსნა), საიმონსი (18)

**კლივლენდი 114:109 ფინიქსი**

ძირითადი დრო 99:99

კლივლენდი: ჯეიმსი (38), ილგაუსკასი (24), მაკინისი (17), გუდენი (16 ქულა, 21 მოხსნა)

ფინიქსი: მარიონი (22 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (21), სტუდემაიერი (20), ნეში (15 ქულა, 17 პასი, 7 მოხსნა)

**ფილადელფია 108:100 ნიუ ჯერსი**

ძირითადი დრო 96:96

ფილადელფია: აივერსონი (26), ჯექსონი (19)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (33 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (16)

**სიეტლი 108:78 საკრამენტო**

სიეტლი: ალენი (20), ლუისი (18), რიდნორი (17), ფორტსონი (16 ქულა, 13 მოხსნა)

საკრამენტო: მილერი (17), სტოიაკოვიჩი (16)

**იუტა 95:104 ტორონტო**

იუტა: ბელი (20), ბუზერი (19), მაკლეოდი (16)

ტორონტო: ბოში (20), კარტერი (16)

**სან ანტონიო 91:71 გოლდენ სტეიტი**

სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება), ჯინობილი (22)

გოლდენ სტეიტი: დანლივი (13), რიჩარდსონი (13)

**ვაშინგტონი 106:96 ორლანდო**

ვაშინგტონი: ჯემისონი (26 ქულა, 11 მოხსნა), ჰიუზი (26)

ორლანდო: ჰილი (24), ფრენსისი (23 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეფე კარლოსი წავიდა

WRC დღეს იწყება წლევანდელი სარალო სეზონის დასკვნითი ეტაპი. ავსტრალიის ქალაქ პერთის შემოგარენში ეკიპაჟები სამ დღეში 1426 კილომეტრს დაფარავენ და მსოფლიოს 26-ე ჩემპიონატიც ისტორია გახდება.

საწყენია, რომ მწვანე კონტინენტის გზებზე ვერ გაიჯირითებს მსოფლიოს ორგზის გვირგვინოსანი კარლოს საინსი, რომელიც საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზეა და სავიცეჩემპიონო შანსიც არ დაუკარგავს. ესპანელს სამშაბათს ვაჯიშისას ფათერაკი შეემთხვა — „სიტროენი" მოსახვევში გზიდან გადაუცურდა და ხეს შეასკდა. თავიდან ისე ჩანდა, რომ საინსი და მისი თანამემამულე-თანამძღოლი მარკ მარტი ხიფათს იოლად გადაურჩნენ, მაგრამ პერთის კლინიკაში გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ კარლოსს კისრის მალებსშუა დისკო დაუზიანებია და ექიმებმა საჭესთან დაჯდომის ნება არ დართეს.

ასე უილბლოდ, ვადამდე დაასრულა 42 წლის მადრიდელმა „მატადორმა" სეზონი და საერთოდ კარიერაც. იგი სწორედ ავსტრალიური ეტაპის შემდეგ ეთხოვებოდა ავტორბოლას.

სიმბოლურია, რომ მის 18-წლიან ზეწარმატებულ კარიერაში ბოლო გამოდგა ორი კვირის წინ გამართული მშობლიური, ესპანეთის რალი, სადაც „მეფე" კარლოსმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა



კარლოს საინსმა ჩვეულებრივი, უბრალო მოკვდავის ცხოვრებისეულ სტილთან შერიგება პირველად მაშინ სცადა, როცა 80-იანი წლების დასაწყისში მამის მოთხოვნით პრესტიჟულ უნივერსიტეტში სამართლის შესწავლა დაიწყო. მსოფლიო რალის მომავალი მეფის მშობლებს შვილის ადვოკატობა მტკიცედ გადაეწყვიტათ და ნიჭიერი ახალგაზრდა იურისტის თავბრუდამხვევ კარიერასაც თითქოს წინ არაფერი ელობებოდა, მაგრამ მანქანების და სისწრაფის სიყვარულმა გადასძალა და...

საერთო ჯამში ყველაზე მეტი — 194 რბოლა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონობა (1990, 1992), ოთხი მეორე და ხუთი მესამე ადგილი — აი, მეფე კარლოსის ეპოქის მოკლე აღწერა, რომლის განმავლობაშიც „მატადორი" 96-ჯერ შედგა საპატიო კვარცხლბეკზე, აქედან 26-ჯერ უმაღლეს საფეხურზე, რაც რალის ისტორიაში მის გარდა ვერავინ შეძლო.

„თავზეხელაღებული" სამართალმცოდნე უნიკალური სპორტსმენია — გარდა რალისა ესპანეთის საუკეთესო პილოტს ბედი ფეხბურთში, გოლფში, ჩოგბურთში, მოტოკროსში და სათხილამურო სპორტშიც მოუსინჯავს. მას შარშანაც სურდა დიდ რალისთან საბოლოოდ გამომშვიდობება, მაგრამ ერთი წლით გადაიფიქრა. მშვიდ და უშფოთველ ყოფასთან ზავის დადების მორიგ მცდელობას კი „მეფე" ავსტრალიის რბოლის ჩამთავრების შემდგომ აპირებდა, თუმც ეს ავარიის გამო რამდენიმე დღით დაჩქარდა.

„მინდა ოჯახს უფრო მეტი ყურადღება დავუთმო" — განუცხადა კარლოსმა გაზეთ „მარკას" კორესპონდენტს ავსტრალიაში გამგზავრების წინ.

— კატალონიის რალიდან ყველაზე კარგად რას გაიხსენებდით?

— რა თქმა უნდა, ჩემთვის ამ რბოლიდან ყველაზე დიდი საჩუქარი მესამე ადგილზე გასვლა არ ყოფილა. ხანგრძლივი სპორტული კარიერის შემდეგ კარლოს საინსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მისდამი ქომაგთა გულთბილი დამოკიდებულებაა. ხალხის სიყვარული გაცილებით ძვირფასია, ვიდრე, მაგალითად, რალიში პირველ ადგილზე გასვლა. მთელი რბოლის განმავლობაში — მიუხედავად იმისა, ლიდერი ვიყავი თუ არა — ვიცოდი, რომ გულშემატკივართა სიმპათია ჩემს მხარეს იყო. ამას კი ვერანაირი შედეგი ვერ გადასწონის.

**— ხალხს მართლაც ძალიან უყვარხართ. ქომაგთა მხარდაჭერის შემხედვარემ არ იფიქრეთ, რომ დიდი სპორტის მიტოვება ცოტა ნაადრევად განიზრახეთ?**

— რალისთან დამშვიდობება უკვე კარგა ხნის წინ გადავწყვიტე. გულშემატკივართა მხარდაჭერის გამო კი უსაზღვროდ ამაყი ვარ. ქომაგებს, ჩემს მეგობრებს, მედიის წარმომადგენლებს მრავალწლიანი ერთგულებისთვის მინდა გულითადი მადლობა ვუთხრა.

**— დაჯილდოებისას თქვენი მეუღლე და სამი შვილიც თან გახლდნენ. ამ ამაღელვებელი ეპიზოდის შესახებ რას გვეტყვით?**

— კვარცხლბეკზე ოჯახთან ერთად გადაღებულ სურათს უძვირფასეს რელიქვიად ვთვლი. ბავშვები ახლა პატარები არიან და არ ვიცი მომავალში დაჯილდოების დღეს თუ გაიხსენებენ, მაგრამ ასე რომ მოხდეს, ძალზე ბედნიერი ვიქნები.

**— ავსტრალიაში განსხვავებული რბოლა გელოდებათ...**

— ავსტრალიის რალიზე უკანასკნელად მივიღებ მონაწილეობას, ამიტომაც ეს შეჯიბრება, ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, კატალონიური რბოლა სრულიად განსხვავებული იყო — შინაურთა მხარდაჭერას სულ სხვაგვარი ელფერი აქვს.

**— თქვენი შვილი, კარლოს საინს-უმცროსიც მამის გზას გააგრძელებს?**

— იგი ჯერ მხოლოდ 10 წლისაა და ცხადია, წინასწარ ვერ გეტყვით, ცხოვრებაში რა გზას აირჩევს. მიხარია, რომ მამამისის მიმართ ხალხის სიყვარულს ამჩნევს. შემდგომში კი რა პროფესიასაც არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა — სპორტსმენი იქნება, ადვოკატი თუ არქიტექტორი — მთავარია, თავის საქმიანობას ღირსებით და გულმოდგინედ მოეკიდოს.



**— ბავშვებმა ალბათ მამასთან ერთად პოდიუმზე ყოფნა ძალიან განიცადეს...**

— განსაკუთრებით ჩემმა გოგონამ განიცადა — მის თვალებში ამდენი ცრემლი არასოდეს მინახია, სხვა დროს ასეთი ემოციური არ არის ხოლმე. ყველანი აღელვებულები ვიყავით, ახლა მიჭირს კიდეც დაჯილდოების ცერემონიალის სიტყვებით გადმოცემა.

**— ამბობენ, რომ პარიზ-დაკარის რალიში მონაწილეობის მიღება გსურთ...**

— გადაწყვეტილების მისაღებად ბევრი უნდა ვიფიქრო. ჯერჯერობით არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა შეიძლება 2005 წლის დაკარის რბოლაზე უარი ვთქვა. ახლა თავისუფალი დრო ადრინდელზე მეტი მექნება, ამიტომაც მინდა ოჯახთან და მეგობრებთან უფრო დიდხანს დავრჩე — იმ ჩვეულებრივი ცხოვრების ანაზღაურებას ვეცდები, რაც აქტიურმა სპორტმა დამაკლო...



საინსების ოჯახი ორი კვირის წინ კატალონიურ ეტაპზე



„მეფე" კარლოსმა გუშინ განაცხადა კარიერის დასრულებაზე

REUTERS

# ვინ შეცვლის ძასოხოვს?

## უპრეზიდენტო ჭიდაობა პრეზიდიუმმა ჩაიბარა





ბადრი კეთილაძის ფოტო

ომზარ შოშიტაშვილი და გოჩა ძასოხოვი ერთად აღარ იმუშავებენ

უპრეზიდენტოდ დარჩენილი ჭიდაობის ფედერაცია ახალ პრეზიდენტს დაახლოებით ერთ თვეში აირჩევს. გოჩა ძასოხოვის წასვლა საჭიდაო სამყაროსთვის იმდენად წარმოუდგენელი იყო, სხვა კანდიდატებზე რეალურად არავინ საუბრობდა, ახლა კი, როცა ძასოხოვმა ჭიდაობის შეფობაზე უარი თქვა, ალბათ პრეზიდენტობის რამდენიმე მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი პრეტენდენტი გამოჩნდება.

კულუარებში გაჟღერებულ ორ გვარზე უკვე გაცნობეთ და ალბათ ეს ხმები სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს. ყოფილი მოჭიდავეების — პარლამენტარ ვალერი გელაშვილისა და 1994 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ბაკურ გოგიტიძის კანდიდატურები ოფიციალურად ჯერ არსად დადასტურებულა, თუმცა ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ჭიდაობის ფედერაციას პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების მიღება ჯერ არც დაუწყია.

გადაწყვეტილებებს ახლა პრეზიდიუმი იღებს, რომელშიც ჭიდაობაში აქტიურად მონაწილე ხალხი და ვეტერანი სპორტსმენები შედიან და სწორედ პრეზიდიუმის სხდომამ უნდა დააკანონოს ბევრი რამ. ფედერაციის გენერალურ მდივან ომზარ შოშიტაშვილის თქმით, სამომავლო გეგმა დაახლოებით მოხაზულია, უფრო ზუსტად კი დღედღეზე გამოიკვეთება.

— დღესაც ვისაუბრე პრეზიდიუმის რამდენიმე წევრთან და გადავწყვიტეთ, სხდომა ოთხშაბათს ჩავატაროთ, თუმცა ეს საკითხი სხვა წევრებთანაც უნდა შეთანხმდეს. თუ წინასწარი გადაწყვეტილება არ შეიცვალა, სწორედ ოთხშაბათს ვიმსჯელებთ მომავალი არჩევნების თაობაზე.

— ესე იგი, არჩევნების თარიღი მომავალ ოთხშაბათს გაირკვევა?

— საბოლოოდ დაზუსტდება, თორემ მიახლოებული თარიღი უკვე ცნობილია. 17 დეკემბერს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებია და ჩვენ ალბათ მანამდე 2-3 დღით ადრე ავირჩევთ ახალ თავკაცს.

— სავარაუდო კანდიდატებზეც ხომ არაფერი იცით?

— რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ გვარებს [illegible] ვერ ვიტყვი. [illegible] იმდენ [illegible] გაოცებული ვარ. [illegible] ცოდინება, რაც განაცხადებს შემოიტანენ.

— განაცხადების მიღება როდიდან დაიწყება?

— პრეზიდიუმის სხდომის ჩატარების მეორე დღიდანვე. შედგება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სპეციალურად ამ საკითხზე იმუშავებს. განცხადებების მიღება ალბათ არჩევნებამდე 8-10 დღით ადრე შეწყდება.

— მაშასადამე მომავალი სეზონიდან ქართული ჭიდაობის სათავეში ახალი კაცი იქნება?

— სამწუხაროდ, გოჩა ძასოხოვის გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი მობრუნება გამორიცხულია. ღმერთმა ქნას, მისი დაწყებული საქმე ისევე წარმატებულად გაგრძელდეს, როგორც ბოლო წლებში. მომავალი წლის კალენდარი უკვე მზად გვაქვს, მაგრამ შეგნებულად არ ვავრცელებთ. იგი ახალი პრეზიდენტმა უნდა მოიწონოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მალხაზ ჭეიშვილი:

# რუსეთთან სხვა გუნდი ვიქნებით

*ნოემბერია და მთელი სარაგბო მსოფლიო გახურებულ ბურთაობაშია. ბობოლებს არც ბორჯღალოსნები ჩამორჩნენ და სამხრეთ ამერიკას მიაშურეს, სადაც ორი მატჩი ჩაატარეს. პირველში ურუგვაისთან 7:17 დამარცხდნენ და მსოფლიოს თასზე განბილების სამაგიერო ვერ გადაუხადეს, შემდეგ კი ჩილესთან თითქმის მოგებული მატჩი 24:30 წააგეს და შინ ხელცარიელები დაბრუნდნენ. ბორჯღალოსანთა ერთ-ერთ თავკაცს მალხაზ ჭეიშვილს სწორედ სამხრეთამერიკული ტურნეს ამბები გამოვკითხეთ და ცოტაც სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ*



ბადრი კეთილაძის ფოტო

— მიუხედავად დამარცხებია, ტურნეს მაინც დადებითად ვაფასებ. ჩვენი ნაკრები, როგორც წესი, სულ ერთი და იგივე მოწინააღმდეგეებს ეთამაშება და ტესტ-მატჩებით განებივრებულები ნამდვილად არ ვართ. IRB-ს ეს პროექტი მისასალმებელია და ასეთ ტურნირებში მონაწილეობა ძალიან წაგვადგება. სამხრეთამერიკული რაგბი რაღაც ახალის აღმოჩენას ნიშნავს. ამასთან ერთად ჩვენს თამაშში ხარვეზების პოვნის უფრო კარგი საშუალება გვეძლევა. კონკრეტულ შედეგებს რაც შეეხება, ჩვენი წარუმატებლობა გარკვეულმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია.

— ურუგვაისთან ჩვენი ნაცნობობა მსოფლიოს თასზე დაიწყო და უსიამოვნო მოგონებად დარჩა. მაშინდელ და ახლანდელ თამაშებს თუ შეადარებდით და არის თუ არა რაიმე პროგრესი?

— არა მგონია, რომ შარშანდელ თამაშთან პარალელის გავლება მართებული იყოს. ჩვენი დღევანდელი ნაკრები რადიკალურად განსხვავდება შარშანდელისგან. თამაშის ხარისხს რაც შეეხება, გარწმუნებთ, რომ ანგარიში მოედანზე მომხდარს არ ასახავს. მატჩი უფრო ჩვენ წავაგეთ, ვიდრე მეტოქემ მოიგო. ერთ-ერთ მიზეზად ისიც შემიძლია დავასახელო, რომ ჩასვლიდან უკვე მესამე დღეს მოგვიწია თამაში. დროში სხვაობა ძალიან დიდია და კლიმატური პირობებიც განსხვავებული, ასე რომ, ადაპტაცია ვერ მოვასწარით.

— მეორე თამაში ჩილესთან გქონდათ და პირველ ტაიმში საუცხოოდ დაიწყეთ. რატომ ვერ შეძელით უპირატესობის შენარჩუნება?

— პირველ ტაიმში მართლაც კარგად ვითამაშეთ, სამი ლელო გარდასახვებიანად გავიტანეთ და ერთი ჯარიმაც მივაყოლეთ. 40 წუთში 24 ქულა მოვაგროვეთ, მეტოქემ კი მხოლოდ 13. მეორე ნახევარში კი ქულაც ვერ ავიღეთ, ჩილელებმა კი 3 ლელო გაგვიტანეს. მიჭირს მიზეზის პოვნა. ალბათ ისევ ჩვენი უყურადღებობის გამო მოხდა ყველაფერი.

— ნაკრების თამაშს ლეგიონერთა სიმცირემაც ხომ არ დაასვა დაღი, რატომ ვერ შეკრიბეთ ოპტიმალური გუნდი?

— ლეგიონერების გამოშვება კლუბებმა არ ისურვეს და უფრო ექსპერიმენტული შემადგენლობა წავიყვანეთ, მაგრამ ჩვენს მარცხს მთლიანად ამ ფაქტორს ვერ დავაბრალებ. ორივე თამაში მოსაგები იყო და უნდა მოგვეგო.

— ვინმეს რაიმე სერიოზული ტრავმა ხომ არ მიუღია?

— არა. ერთა თასისთვის ყველანი მწყობრში არიან და ამ მხრივ პრობლემა არ შეგვექმნება.

— სარუსეთოდ გუნდისთვის ახალი სახეები ხომ არ აღმოგიჩენიათ?

— ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატი დათო ზირაქიშვილია. მან მართლაც კარგად ითამაშა ორივე მატჩში. ისე კი რუსეთთან სულ სხვა გუნდი გვეყოლება. ლეგიონერებიც ჩამოვლენ და „დათვებს“ ოპტიმალური შემადგენლობით ვესტუმრებით.

— გულშემატკივრისთვის რუსეთთან თამაშს სულ სხვა ელფერი აქვს და ყველანი გამარჯვებას ველით. რის ხარჯზე აპირებთ მეტოქის დამარცხებას და რა ინფორმაციას ფლობთ მასზე?

— პირველ რიგში ჟინით, მონდომებითა და გულით — ეს იქნება ჩვენი მთავარი უპირატესობა. ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ჩვენი დაპირისპირება ჩრდილოელ მეზობელთან განსაკუთრებით პრინციპულია. რუსეთთან მატჩი სცილდება უბრალო, რიგითი შეხვედრის სტატუსს და უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გამარჯვებისათვის მოედანზე ყველაფერი უნდა დავდოთ. რაც შეეხება ინფორმაციას, ბევრს ვერაფერს გეტყვით. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ მწვრთნელი შეეცვალათ. დაუზუსტებელი ინფორმაცია გვაქვს იმის შესახებ, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე — ისეთები როგორებიც რაჩკოვი და სერგეევი არიან — ნაკრებიდან წასვლას აპირებენ.

— ერთა თასზე ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე პორტუგალიაა, რომელმაც ამ ბოლო დროს დიდი ნახტომი გააკეთა და სერიოზულ ძალად იქცა. სამხრეთ ამერიკაში თქვენთან ერთად ისინიც იყვნენ. ხომ არ დასწრებიხართ მათ თამაშებს?

— არა, მაგრამ ჩილელმა კოლეგებმა ვიდეოფირი მოგვაწოდეს. საკმაოდ ძლიერი ნაკრებია და ამაში ჩილესთან მოგებული მატჩის ჩანაწერის ხილვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. თუმც შემდეგ პორტუგალიამ ურუგვაისთან მთელი მატჩის განმავლობაში 3 ქულის აღება შეძლო და პირწმინდად წააგო. ეს შეხვედრა არ მინახავს და არ ვიცი ასეთი რა შეემთხვათ, რომ სამხრეთამერიკელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

— რუსეთი პრინციპული მეტოქეა, პორტუგალია პროგრესირებადი და ძალიან სერიოზული ნაკრებია, მაგრამ ერთა თასზე ყველაზე ძნელად დასამარცხებელი გუნდი მაინც რუმინეთის ნაკრებია. რუმინელთა შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?

— რუმინეთი მართლაც ყველაზე ძლიერია და სანოემბრო ტესტმატჩები მათ წინსვლას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. მაგალითად, მომავალ შაბათს რუმინელები უელსს ხვდებიან. ასეთ მეტოქეებთან თამაში, რა თქმა უნდა, ერთა თასისთვის გუნდს კარგად მოამზადებს.

— რეალურად რომ ვიმსჯელოთ, შესწევს თუ არა ჩვენს ნაკრებს რუმინელთა დამარცხების ძალა?

— თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი შეხვედრა საქართველოში ტარდება, ვფიქრობ, ეს არაა წარმოუდგენელი. მაყურებლის ფაქტორი ყოველთვის ძალიან დადებითად მოქმედებს ჩვენს ბიჭებზე. ვნახოთ, ჩვენ წარმატებისათვის არაფერს დავზოგავთ.

**ლადო ფულუკიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიკაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge